

საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი
ეროვნული კომისია (სემეკ)

დამტკიცებულია სემეკის
2005 წლის 30 მარტის
№7/2 გადაწყვეტილებით

წლიური ანგარიში

2004 წელი

თბილისი
მარტი, 2005 წელი

შინაარსი

შესავალი	4 გვ.
1 საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია: სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და დაფინანსება	6
1.1 სტრუქტურა და კადრებით უზრუნველყოფა	6
ა) კომისიის წევრები	6
ბ) კომისიის აპარატი	6
2. სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა	9
2.1. სამართლებრივი საქმიანობა	9
2.2. მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა	9
3. ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება	12
3.1. ელექტროენერგეტიკულ სექტორში არსებული მდგომარეობის შეფასება	12
3.2. ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატების რეგულირება	14
3.3. ელექტროენერგეტიკულ სექტორში დასაქმებული ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმების შედეგები	16
3.4. სხვა ფუნქციონირება განხორციელება ელექტროენერგეტიკის სექტორში	18

4.	ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობა	20
5.	ტარიფების დადგენა და რეგულირება	22
5.1	ელექტროენერჯია	22
5.2.	სს „თელასის“ ელექტროენერჯის განაწილების ტარიფის შემუშავების შესახებ	24
5.3.	ბუნებრივი გაზი	26
6.	საქართველოს გაზმომარაგების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ	30
6.1.	ლიცენზირება	31
6.2.	სს „თბილგაზის“ შესახებ	31
7.	საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა	34
7.1.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	34
7.2.	სემეკის საერთაშორისო ურთიერთობები	36
8.	ელექტროენერჯეტიკაში და ბუნებრივი გაზის სფეროში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია	37
9.	ენერგომომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური	39
10.	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და დაფინანსება, კონტროლის უზრუნველყოფა	40
11.	დანართები	41

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია სემეკის 2004 წლის მოლვაწეობის ძირითადი შედეგები.

უნდა აღინიშნოს, რომ სამი წლის განმავლობაში შეიცვალნენ კომისიის წევრები. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით თავმჯდომარედ დაინიშნა გიორგი თავაძე, წევრად კი – ირმა ქავთარაძე. მანამდე გ. თავაძე მოლვაწეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა ხელმძღვანელ პასუხისმგებელ თანამდებობებზე, ბოლოს კი – ამ რეგიონის ენერგოკომპანიის გენერალურ დირექტორად. ირ. ქავთარაძე წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო ბოლოს – საკონსულტაციო ფირმა „PA კონსალტინგში“.

დროის ამ მონაკვეთში საქართველოს ენერგეტიკის რეგულირების საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. პირველ რიგში, ეს ეხება როგორც ლიცენზირებას, ისე ტარიფების დადგენასა და რეგულირებას. კომისიის მიერ წლის განმავლობაში სულ მიღებულია 16 დადგენილება და 94 გადაწყვეტილება. ელექტროენერგეტიკულ სექტორში 2004 წელს გაიცა 8 ლიცენზია, მოდიფიცირება გაუკეთდა 5 ლიცენზიას. ბუნებრივი გაზის სექტორში გაიცა 27 ლიცენზია და მოდიფიცირება გაუკეთდა 22 ლიცენზიას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2004 წლის ბოლოს საქართველოს ენერგეტიკის დარგში სულ მოქმედებდა 171 ლიცენზია, მათ შორის 64 ელექტროენერგეტიკაში და 107 ბუნებრივი გაზის სექტორში. აქედან ელექტროენერჯის წარმოებაში 46, გადაცემაში 4, დისპეტჩერიზაციაში 2, განაწილებაში 9 და იმპორტში 3; ხოლო ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებაში 1, მიწოდებაში 58 და განაწილებაში 48.

2004 წელს კომისიამ გასცა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია და შესაბამისი ტარიფი დაუდგინა ხადორი ჰესს – პირველ ახალ ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ამოქმედდა.

2004 წელს სემეკის კანცელარიაში შემოვიდა 2391 წერილი, რომელთაგან 2251 წერილს გაეცა დასაბუთებული პასუხი, დანარჩენებზე საქმისწარმოება გრძელდება.

საანგარიშო წელი აღსანიშნავი იყო ელექტროენერგეტიკაში სამეწარმეო საქმიანობის მოწესრიგების თვალსაზრისითაც. ამ წელს სალიცენზიო პირობების სერიოზული დარღვევების გამო ლიცენზიები ჩამოერთვა რამდენიმე ე. წ. „მცირე ლიცენზიატს“. ბუნებრივი გაზის სექტორში წარმატებული ფუნქციონირების საქმეში მნიშვნელოვანი იყო 30 სექტემბერს მიღებული №10 დადგენილება „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“. ამ დადგენილებით შეიქმნა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საფუძველი ბუნებრივი გაზის მომხმარებელსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის.

ამ დადგენილებით განსაზღვრულია, აგრეთვე, ლიცენზიატთა და მომხმარებელთა უფლებები და ვალდებულებები ბუნებრივი გაზის აღრიცხვის, მიწოდების, შეწყვეტის და აღდგენის წესები და პროცედურები, ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში მყოფ ლიცენზიატთა ურთიერთობათა სავალდებულო ქცევის წესები. შეიძლება ითქვას, რომ მიღებული დოკუმენტი გახდა ბუნებრივი გაზის სფეროში მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძველი. გარდა ამისა, კარგი პირობები შეიქმნა ამ სფეროში კონკურენციის განვითარებისათვის.

ანალოგიური დოკუმენტი მომზადდა ელექტროენერჯის მოხმარების სფეროშიც, რომლის შესაბამისი დადგენილება მომზადდება 2005 წელს.

საანგარიშო წელს შემცირდა ტარიფი ბუნებრივი გაზის სექტორშიც. ჯერ-ჯერობით იგი შეეხო საქართველოს რეგიონებს (გარდა თბილისისა). აქ ტარიფის შემცირების საფუძველი გახდა ქართული ლარის კურსის გამყარების ფაქტი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2004 წელი აღნიშნა სექტორში აღრიცხვიანობის მოწესრიგების, აგრეთვე, საფასურის არგადამხდელთა მიმართ მკაცრი ზომების გატარებით. პრაქტიკულად გამოირთო ყველა არგადამხდელი საწარმო. შეიზღუდნენ გამანაწილებელი ენერგოკომპანიები, ცალკეული მომხმარებლები. უკომპრომისო ბრძოლა გამოეცხადა დარგში არსებულ კორუფციას. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კომისიის საკანონმდებლო ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის,

აგრეთვე, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით.

ზემოთ აღნიშნულის შესახებ, უფრო ვრცლად, საუბარია წინამდებარე ანგარიშში.

1. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია: სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და დაფინანსება

1.1 სტრუქტურა და კადრებით უზრუნველყოფა

ა) კომისიის წევრები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისია შედგება სამი წევრისაგან. 2003 წლის 19 დეკემბრიდან 2004 წლის 2 აპრილამდე სემეკის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა სემეკის წევრი დემურ ჩომახიძე, ხოლო სემეკის წევრისას – პაატა ცინცაძე. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 2 მარტის №194 განკარგულებით დავით მირცხულავა გადაყენებულ იქნა სემეკის თავმჯდომარის თანამდებობიდან, ხოლო შემდეგ თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდნენ კომისიის წევრები დ. ჩომახიძე და პ. ცინცაძე. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 2 აპრილის №268 და 5 აპრილის №270 განკარგულებებით კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა გიორგი თავაძე, ხოლო კომისიის წევრად – ირმა ქავთარაძე. თითქმის ერთი წლის განმავლობაში კომისია მუშაობს ორი კაცის შემადგენლობით.

ბ) კომისიის აპარატი

კომისიის აპარატს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი ნოდარ ჩიხლაძე. იგი სპეციალობით ინჟინერ-თბოენერგეტიკოსია.

2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომისიის აპარატი შედგება 74 მუშაკისაგან. სემეკის დებულების შესაბამისად, კომისიის აპარატის შემადგენლობაშია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა. 6 დეპარტამენტი – ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, ეკონომიკური ანალიზისა და ფასწარმოქმნის, იურიდიული, მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის;
- ბ. სერტიფიკაციის ცენტრალური ორგანო (ცენტრი);
- გ. 2 განყოფილება (საერთო და სამეურნეო);
- დ. ბუღალტერია.

აპარატი, ძირითადად, დაკომპლექტებულია ინჟინერ-ენერგეტიკოსებით, გაზის მეურნეობის სპეციალისტებით, ეკონომისტებითა და იურისტებით. აპარატის 74 სპეციალისტიდან ენერგეტიკოსი და გაზის მეურნეობის სპეციალისტია 26, ანუ სპეციალისტთა საერთო რაოდენობის 31.3%, ეკონომისტი – 15, ანუ საერთო რაოდენობის 22.2% და იურისტი – 9, ანუ 12.5%. გარდა ამისა, აპარატში არის სხვადასხვა სპეციალობის 24 მუშაკი (33.3%).

აპარატის მუშაკების მიღება წარმოებს საკონტრაქტო სისტემით.

2003 წელს სემეკის აპარატი დაკომპლექტებული იყო 72 სპეციალისტით, 2004 წელს საშტატო განრიგით მათი რაოდენობა გაიზარდა 2 ერთეულით.

სემეკის აპარატის სტრუქტურა და საშტატო განრიგი:

№	დეპარტამენტი	ხელმძღვანელის სახელი, გვარი
1	აღმასრულებელი დირექტორი	ნოდარ ჩხლაძე
2.	იურიდიული დეპარტამენტი - 8 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი – 2 საშტატო ერთეული მთავარი იურისტი – 3 საშტატო ერთეული უფროსი იურისტი - 1 საშტატო ერთეული საქმისმწარმოებელი – 1 საშტატო ერთეული	თამაზ ინაშვილი
3.	ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტი - 11.5 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი - 2 საშტატო ერთეული სამმართველოს უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული მთავარი სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული კონსულტანტი – 0.5 საშტატო ერთეული ოპერატორი - 1 საშტატო ერთეული	ლალი გოგიშვილი
4.	ეკონომიკური ანალიზისა და ფასწარმოების დეპარტამენტი - 13 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი - 3 საშტატო ერთეული მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული ფინანსური ექსპერტი - 1 საშტატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული სტაჟიორი - 1 საშტატო ერთეული	ივერი შალამბერიძე
5.	ბუნებრივი გაზის დეპარტამენტი - 6 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული მთავარი სპეციალისტი – 3 საშტატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული	დიმიტრი ნამგალაძე
6.	მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი - 7 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი მთავარი სპეციალისტი – 4 საშტატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული	თეიმურაზ ცაბაძე

	სტაჟიორი - 1 სამშატო ერთეული	
7.	საწიგაღმკვასთან და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი - 7 სამშატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი მასმედიის სამსახურის მდივანი – 1 სამშატო ერთეული საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის მდივანი - 2 სამშატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი - 1 სამშატო ერთეული სპეციალისტი – 2 სამშატო ერთეული	ნინო ასათიანი
8.	საინფორმაციის ცენტრალური ორგანო (ცენტრი) - 4 სამშატო ერთეული ცენტრის დირექტორი დირექტორის მოადგილე - 1 სამშატო ერთეული მთავარი სპეციალისტი - 2 სამშატო ერთეული	ალექსანდრე ფირცხალაიშვილი
9.	საერთო განყოფილება - 5 სამშატო ერთეული განყოფილების გამგე საქმისმწარმოებელი, არქივისთვის პასუხისმგებელი პირი – 1 სამშატო ერთეული საქმისმწარმოებელი - 2 სამშატო ერთეული კურიერი - 1 სამშატო ერთეული	მზია სუქნიძე
10.	ბუღალტერია - 2 სამშატო ერთეული მთავარი ბუღალტერი ბუღალტერი – 1 სამშატო ერთეული	მარიამ სომხიშვილი
11.	აპარატის სსგა მუშაკები - 4,5 სამშატო ერთეული	
12.	სამეურნეო განყოფილება - 6 სამშატო ერთეული განყოფილების უფროსი	კონსტანტინე ბოკუჩავა

2. სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ბაზის უზრუნველყოფა

2.1 სამართლებრივი საქმიანობა

სემეკის იურიდიული დეპარტამენტის ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება ლიცენზიის მაძიებელთა მიერ წარმოდგენილი განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის სამართლებრივი ექსპერტიზა; სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება; სემეკის მონაწილეობით წარმოებულ სასამართლო დავებში კომისიის ინტერესების წარმოდგენა.

ზემოაღნიშნული მიმართულებით იურიდიული დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობა ასე გამოიყურება:

1. სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით იურიდიული დეპარტამენტის მონაწილეობით მომზადდა და მიღებულ იქნა 16 დადგენილება. მომზადებული დადგენილებებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები“, რომლის მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივი გაზის სექტორში ურთიერთობათა რეგულირებისათვის. იურიდიული დეპარტამენტის მონაწილეობით ასევე მომზადებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ და „რეგულირების საფასურის შესახებ“ კანონპროექტები.

2. 2004 წლის მანძილზე სემეკი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლო ორგანოებში მოპასუხედ ან მესამე პირად ჩართული იქნა 33 სასამართლო პროცესში, აღნიშნულ პროცესებზე სემეკის ინტერესების დაცვას ახორციელებდა იურიდიული დეპარტამენტი. სასამართლო პროცესებიდან უნდა აღინიშნოს მოქალაქე კ. ძაგანიას მიერ სემეკის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი, რომლის განხილვის დროსაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა, რომ

ტარიფების დადგენა არ წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივას.

3. იურიდიული დეპარტამენტი ასევე აქტიურად მონაწილეობდა სემეკის ინდივიდუალური ხასიათის ადმინისტრაციული აქტების – გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პროცესში. სულ 2004 წელს იქნა მიღებული 94 გადაწყვეტილება.

4. გარდა ამისა, იურიდიულ დეპარტამენტში შემოვიდა და განხილულ იქნა სხვადასხვა დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან თუ მოქალაქისაგან სხვადასხვა საკითხზე შემოტანილი 500-ზე მეტი განცხადება და საჩივარი.

2.2 მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა

სემეკის აპარატის მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უშუალოდ მოამზადა და უზრუნველყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სემეკის შემდეგი დადგენილებების რეგისტრაცია:

1. „საბაზრო წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 2001 წლის 10 სექტემბრის №11 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ“ სემეკის 2004 წლის 23 ივლისის №7 დადგენილება.

ამ დადგენილების მიღება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ფაქტობრივად ვერ მოხერხდა სემეკის 2003 წლის 4 დეკემბრის №25 დადგენილებით შეცვლილი ელექტროენერგეტიკული სექტორის ანგარიშსწორების წესის ამოქმედება ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის პროცესში, რომელიც უნდა შესულიყო ძალაში 2004 წლის 1 აპრილს. საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის განმარტებით, ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ანგარიშსწორების ახალი ფორმის გამოყენება (საუბარია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკონტოკორენტო შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი ანგარიშსწორების წესზე) წარმოადგენდა სიახლეს არა მარტო ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატებისათვის, არამედ საქართველოს საბანკო სისტემისთვისაც და ვერ მოხერხდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება დადგენილ ვადაში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სემეკის 2001 წლის №11 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

2. „ელექტრობაზრის წევრთა ერთობლივი სპეციალური ანგარიშისა და „საბაზრო წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 2001 წლის 10 სექტემბრის №11 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ სემეკის 2004 წლის 23 ივლისის №8 დადგენილება.

ამ დადგენილების მიღება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ 2004 წლის 15 ივნისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს კანონი, რომლის თანახმად ელექტროენერჯისა (სიმძლავრის) და მომსახურების საბითუმო ყიდვა-გაყიდვის მართვის მიზნით შემოღებულ იქნა ელექტრობაზრის წევრთა ერთობლივი სპეციალური ანგარიში. ამავე კანონით სემეკს დაევალა მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე მიელო დადგენილება ელექტრობაზრის ახალ ანგარიშთან დაკავშირებით, რაც შესრულდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტით.

3. „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ სემეკის 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სემეკის 2004 წლის 3 დეკემბრის №18 დადგენილება.

აღნიშნული დადგენილების მიღება დაკავშირებული იყო ისეთ ფაქტთან, როგორც არის ვალუტის კურსის ცვლილება. კერძოდ, განვლილმა პერიოდმა ცხადყო, ვალუტის კურსის 5%-იანი ზღვარი, რომელსაც ითვალისწინებდა ტარიფების მეთოდოლოგია, ადეკვატურად ვერ ასახავდა ბუნებრივი გაზის ბაზარზე არსებულ რეალურ მდგომარეობას და ის საჭიროებდა შეცვლას. არსებული ზღვარის სიმცირე ხშირად იწვევდა ლიცენზიატების უკმაყოფილებას მის ხშირ გადახედვასთან დაკავშირებით.

აღნიშნული სამუშაოები განხორციელდა მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლების მიერ, რომლებმაც ამ პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენეს CUSUM – V-MASK (კუმულატიური ჯამებისა და V-ნიღბის) მეთოდოლოგია.

ამ კვლევის საფუძველზე სისტემა “Delphi”-ის გამოყენებით შემუშავდა კომპიუტერული პროგრამა, რომლის დიზაინი აკმაყოფილებს ერგონომიკის ძირითად პარამეტრებს, ხოლო მისი ინტერფეისი საკმაოდ მარტივია. ოპერატორს ეროვნული ბანკის WEB გვერდიდან ყოველდღიურად შეაქვს მონაცემები GEL/US\$ შეფარდების თაობაზე და პროგრამა მყისიერად აშუქებს მონიტორზე „ტეხილს“, რომლის კონფიგურაცია ცალსახად განსაზღვრავს ტარიფის გადახედვის განხილვის ათვლის წერტილს.

ამავე მეთოდის საფუძველზე, ლიცენზიატების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად მათთვის მიყენებული მოგება-ზარალის მინიმიზაციის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვა ვალუტის კურსის 7%-იანი სიდიდის დაწესება.

მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული დადგენილებების გარდა, აღსანიშნავია ისეთი სამართლებრივი აქტებიც, როგორცაა „საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომების მომზადებისა და წარმართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ სემეკის თავმჯდომარის 2004 წლის 7 ივნისის №5 ბრძანება.

აღნიშნული სამართლებრივი აქტის მიღება განპირობებული იყო იმ გარემოებებით, რომ სრულყოფილად და ერთიანად ყოფილიყო მოწესრიგებული და თავმოყრილი კომისიის სხდომების ორგანიზების და გამართვის წესების,

პროცედურების და, ამასთან ერთად, სამართლებრივი აქტების ნორმები. ამ ბრძანებით დარეგულირდა სემეკის აპარატის თანამშრომლების მიერ კომისიის სხდომაზე გასატანი საკითხების მიღების, შეთანხმების, მომზადებისა და ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

3. ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება

3.1. ელექტროენერგეტიკულ სექტორში არსებული მდგომარეობის შეფასება

საანგარიშო 2004 წელს საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარებამ შეადგინა 7 474,784 მლნ.კვტ.სთ, რაც 7,4%-ით მეტია 2003 წლის მოხმარებასთან შედარებით. ელექტროენერჯის მოხმარების დაფარვა ხდებოდა შემდეგნაირად:

საქართველოს ენერჯოსისტემაში მომუშავე ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 6 706,018 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერჯია, რაც 4,3%-ით ნაკლებია 2003 წელთან შედარებით. მათ შორის: ჰიდროელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 8,2%-ით ნაკლები ელექტროენერჯია – 5 892,813 მლნ.კვტ.სთ, რომელიც 527,868 მლნ.კვტ.სთ-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. თბოელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული იქნა 27,7%-ით მეტი ელექტროენერჯია და შეადგინა 813,204 მლნ.კვტ.სთ, რაც 225,317 მლნ.კვტ.სთ-ით მეტია 2003 წელთან შედარებით. ჰესების გამოიმუშავების შემცირება ძირითადად განპირობებულია ჰიდროაგრეგატების გაუმართაობით.

თესების გამოიმუშავების ზრდა კი განპირობებულია სს „ეი-ი-ეს მტკვარის“ მე-9 ენერჯობლოკის შედარებით სტაბილური მუშაობით და თბილსრესის მე-3 ენერჯობლოკის ამუშავებით. ელექტროენერჯის იმპორტი გაიზარდა 16,7%-ით. იმპორტი განხორციელდა როგორც რუსეთის, ასევე სომხეთის ენერჯოსისტემებიდან.

2005 წლის 1 იანვრისათვის მარეგულირებელი ჰესების წყალსაცავებში დაგეგმილი იყო 502 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერჯის ეკვივალენტური წყლის მარაგის დაგროვება. ფაქტობრივად ამ პერიოდისათვის იყო 277,07 მლნ.კვტ.სთ-ის ეკვივალენტური წყალი, ანუ გეგმის 55 %.

ენერჯოსისტემის ელექტროსადგურების ტექნიკური მდგომარეობა ზოგადად შეიძლება შეფასდეს შემდეგი მონაცემებით: 4564,284 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრიდან საანგარიშო წლის ბოლოსათვის არსებული ჯამური სიმძლავრე შეადგენდა 2050,2, ხოლო მუშა სიმძლავრე – 1421 მგვტ-ს. აქედან, ჰესების ჯამური 2733,226 მგვტ დადგმული სიმძლავრიდან მუშა სიმძლავრე შეადგენს – 1221,200 მგვტ-ს. მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ელექტროენერჯის წარმოების ობიექტების ტექნიკური მდგომარეობა საგანგაშოა.

ენერჯოსისტემაში ელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია ენგურჰესის წილი. საანგარიშო პერიოდში მისმა გამოიმუშავებამ შეადგინა 2 728,121 მლნ.კვტ.სთ; სადგურის 5 აგრეგატიდან (დადგმული სიმძლავრე 1300 მგვტ) მუშა მდგომარეობაშია ოთხი 920 მგვტ მუშა სიმძლავრით. ენგურის კასკადის ოთხი ვარდნილჰესიდან ექსპლუატაციაშია მხოლოდ პირველი, რომლის 210 მგვტ დადგმული სიმძლავრიდან მუშა სიმძლავრე შეადგენს 110 მგვტ-ს.

ჰიდროელექტროსადგურებიდან შედარებით უკეთეს ტექნიკურ მდგომარეობაშია ხრამჰესი-I. მისი დადგმული სიმძლავრეა -112,5 მგვტ. ხრამჰესი-II-ში დაწყებულია რეაბილიტაცია იაპონური კრედიტით, მოწყობილობა-დანადგარები შეტანილია მთლიანად, მაგრამ სარემონტო და

სამონტაჟო სამუშაოები არ მიმდინარეობს ბანკთან არსებული ფინანსური პრობლემების გამო. საანგარიშო პერიოდში ენერგეტიკის სამინისტროს ძალისხმევით შესაძლებელი გახდა აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ერთი აგრეგატის ჩართვა. თუმცა სადგურის ხელმძღვანელობა მოითხოვდა სადგურის დაუყოვნებლივ გაჩერებას. სემეკის მიერ შექმნილი კომისიის სათანადო დასკვნის თანახმად, ჰიდროელექტროსადგურმა გააგრძელა მუშაობა.

სეზონური ჰიდროელექტროსადგურებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ვარციხეჭესების კასკადის ოთხი სადგური 184 მგვტ სიმძლავრით, რომელთა ჯამური საპროექტო საშუალო წლიური გამოიმუშავება 1,0 მლრდ. კვტ.სთ-ია. 2004 წელს სადგურის მიერ გამოიმუშავებული იქნა 680,251 მლნ.კვტ.სთ. მოსაწესრიგებელია კასკადის ჰიდროტექნიკური ნაგებობები, რომელთა გაუმართაობის გამო წყალდიდობის დროს საფრთხე ექმნება მიმდებარე სოფლების მოსახლეობას.

ასევე არადაამაკმაყოფილებელია გუმათიჭესების კასკადის აგრეგატებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა. აუცილებელია პირველი რიგის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-ტექნოლოგიური სქემის დამუშავება და აუცილებელი დაფინანსებით უზრუნველყოფა.

ანალოგიური პრობლემებია ენერგოსისტემის თითქმის ყველა დანარჩენ ჰიდროელექტროსადგურში.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად პრივატიზებულია 20 ჰესი საერთო დადგმული სიმძლავრით 105,747 მგვტ.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის მდგრადი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია ოპტიმალური სიმძლავრის ბაზისური თბოელექტროსადგურების არსებობა და მათი პირველადი ენერგორესურსებით სტაბილური, შეუფერხებელი უზრუნველყოფა. ბაზისური სადგურებიდან (თბილსრესი, „მტკვარი ენერგეტიკა“) 2004 წლის ბოლოსათვის მუშაობდა „მტკვარი ენერგეტიკის“ მე-9 ბლოკი, რომლის დადგმული სიმძლავრეა 300 მგვტ, ხოლო მუშა სიმძლავრე შეადგენს – 200 მგვტ-ს; გარკვეულ პერიოდებში ბლოკი მუშაობდა არაოპტიმალური სიმძლავრით. რაც შეეხება მე-10 ენერგობლოკს, რომელიც საქვამე აგრეგატის აფეთქების გამო მწყობრიდან არის გამოსული, მისი აღდგენის დაწყების საკითხი ბოლომდე არ არის გარკვეული და არ დადგენილა აფეთქებაზე პასუხისმგებელი მხარეც. ასევე გაურკვეველია მე-11 თბოენერგობლოკის შემდგომი პერსპექტივა.

გაჩერებულია თბილისის თბოელექტროცენტრალი, გადასაწყვეტია მისი შემდგომი ფუნქციონირების პერსპექტივა. მისი მოდერნიზაციით მოიხსნება არა მარტო ელექტროენერჯის, არამედ გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების პრობლემა ქალაქის ცენტრალურ უბნებში.

სერიოზული პრობლემებია ენერგოსისტემაში სიხშირისა და ძაბვების რეგულირების ტექნიკური საშუალებების მუშაობაში. არც ერთ ჰიდროელექტროსადგურში არ მუშაობს აგრეგატების ბრუნვის (სიხშირის)

ავტომატური რეგულატორები; ოპერატიული და სარეზერვო სიმძლავრეების უქონლობის გამო გაძნელებულია სიხშირის რეგულირება და სასისტემო ავარიების განვითარებაზე ზემოქმედება.

ენერგოსისტემის მაღალი დაბვის ელექტროქსელი (35–110–220 კვ ელექტროგადამცემი ხაზები და 35–110–220–500 კვ ქვესადგურები) და მთლიანად ენერგოსისტემის მართვის საშუალებების ძირითადი ნაწილი შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მართვაშია, რომელიც შეიქმნა 2002 წელს სს „ელექტროგადამცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად და 5 წლით მართვაში გადაეცა ირლანდიურ კომპანიას (ESBI), რომელმაც მენეჯმენტ კონტრაქტის განხორციელება დაიწყო 2003 წლის 3 მარტს.

სს „საქრუსენერგოს“ დაქვემდებარებაშია 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზები: „კავკასიონი“, „ქართლი-I“, „ქართლი-II“, „იმერეთი“, „მუხრანი“, 330 კვ „გარდაბანი“ და 220 კვ „აჭარა“.

ელექტროგადამცემის ობიექტების ძირითადი მოწყობილობებისა და დისპეტჩერული მართვის საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი და მოძველებულია, საჭიროა მათი რეკონსტრუქცია-განახლება. უკანასკნელ წლებში ინვესტიციების ხარჯზე შესრულდა გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელმაც არსებითი გავლენა ვერ მოახდინა ენერგოსისტემის საიმედოობის ამაღლებაზე.

ენერგოსისტემის ექსპლუატაციისა და საიმედოობის დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების დაჩქარებული ცვეთა, რომელიც გამოწვეულია შეზღუდვებისა და სიხშირის არასტაბილურობის გამო, დაუშვებლად ხშირი ჩართვა-გამორთვებით. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ 35-110 და 220 კვ დაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების გარკვეული ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ გაძარცვულია და მათ აღდგენას ესაჭიროება სერიოზული სახსრები და დრო.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს რელეური დაცვისა და ავარიების საწინააღმდეგო ავტომატიკის საშუალებათა ეტაპობრივი რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია, პირველ რიგში, 500 კვ სატრანზიტო ქსელის აღჭურვა რელეური დაცვისა და ავტომატიკის თანამედროვე მიკროპროცესორული ციფრული აპარატურით.

საქართველოს ელექტროსისტემის ექსპლუატაციისა და საიმედოობის დონის ამაღლებისათვის გადაუდებელი სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელია სოლიდური ინვესტიციები.

3.2. ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატების რეგულირება

დღეისათვის ელექტროენერგეტიკულ სექტორში ფუნქციონირებენ ლიცენზიატები:

– წარმოების – 46, განაწილების –9, გადაცემის –4, დისპეტჩერიზაციის – 2, იმპორტის – 3.

საანგარიშო 2004 წელს ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზირებასთან დაკავშირებით ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები:

რუსთავის მეტალურგიულ კომბინატის მფლობელის შეცვლის გამო, გაუქმდა სს „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატზე“ გაცემული ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია №009, სერია 14 და გაიცა შპს „რუსთავი არეს მეტალურგიულ კომბინატზე“ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია №053, სერია 14. შპს „რუსთავი არეს მეტალურგიულ კომბინატს“ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის მოქმედების არეალი განესაზღვრა მხოლოდ მეტალურგიული კომბინატის ტერიტორიით.

გაუქმდა სს „ელექტროენერგეტიკაზე“ გაცემული ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია №024, სერია 14, ვინაიდან ლიცენზიის პირობების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ლიცენზიატს ელექტროენერგია საერთოდ არ გაუნაწილებია და არასოდეს ჰქონია ურთიერთობა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან.

შპს „ვიჩნაშის“ შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით და შპს „ვიჩნაშის“ მომართვის საფუძველზე, 2004 წლის 1 ივლისიდან გაუქმდა შპს „ვიჩნაშზე“ გაცემული ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია №012, სერია 14.

შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ მომართვის საფუძველზე, 2004 წლის 1 ნოემბრიდან გაუქმდა შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია (№041, სერია 14) და დაევალა სს „თელასს“ 2004 წლის 1 ნოემბრამდე შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ მომხმარებლების აბონენტებად აყვანა, ხოლო შპს „თბილისის მეტროპოლიტენს“ აკრძალა თავის ქსელზე მომხმარებლების დამატებითი მიერთება სს „თელასთან“ შეუთანხმებლად.

2004 წელს სემეკში გაგრძელდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“, სს „თელასისა“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატების (ე.წ. „მცირე ლიცენზიატები“) მიერ ლიცენზიის პირობების დაცვის მდგომარეობის გადამოწმება.

აღნიშნული ლიცენზიატების საქმიანობასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2003 წელს გაიმართა სემეკის 6 საჯარო სხდომა. სემეკის სხდომების საოქმო გადაწყვეტილებების თანახმად, ლიცენზიატების საქმიანობის შესახებ მსჯელობა უნდა გაგრძელდებოდა შემაჯამებელ სხდომაზე. შემოწმების შედეგად თითოეული ლიცენზიის მფლობელს მიეცა გარკვეული დრო აღმოჩენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად. თუმცა 2003-2004 წწ. შემოწმებებმა აჩვენა, რომ განაწილების ლიცენზიატთა უმრავლესობა არ ასრულებდა ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შემაჯამებელი სხდომა გაიმართა 2004 წლის 23 ივნისს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სემეკის

2004 წლის 23 ივნისის №11/1 გადაწყვეტილებით 2004 წლის 1 ივლისიდან გაუქმდა:

შპს „პატარა კახის“, შპს „ფერის“, „სინათლის“(იგოეთი), შპს „აექსის“, შპს „გ.თ.გ.“-ს, შპს „ენერგეტიკა XXI საუკუნის“, შპს „ირაკლი-2000“-ის, შპს „სინათლე-2“-ის, შპს „ენერჯის“, შპს „სეტის“, შპს „ფორმა ენერჯის“, შპს „მეოხი“-ს, შპს „რობა“-ს, შპს „რუსთავშენი-2000“-ის, შპს „მცირე ენერჯოკომპანის“, სს „გორგოტა“-ს, შპს „ნაკადული-90“-ის, სს „ჩხორპესის“, სპს „ენერჯოცენტრის“, სს „გამას“, გივი აბლაკის ინდ. საწარმო „ფერმერის“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიები.

სემეკის 2001 წლის 26 იანვრის №1 გადაწყვეტილებით შპს „ჟინერზე“ გაცემული იყო ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია (№038, სერია 11) 2004 წლის 31 მაისამდე. შპს „ჟინერს“ იჯარით აღებული ჰქონდა ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური შპს „თბილწყალკანალიდან“. საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო, მხარეებს შორის მიმდინარეობდა დავა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რომელიც განიხილა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ და 2003 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საიჯარო ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 2019 წლის 1 მაისამდე.

ენერგეტიკის ინსტიტუტის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, შპს „ჟინერს“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის ვადა გაუგრძელდა 5 წლით – 2009 წლის 31 მაისამდე.

სემეკის მიერ განხილული იქნა შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციის“ (ხაღორძესი) განაცხადი ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მისაღებად.

ხაღორძესის №1 აგრეგატის საცდელი გაშვება და საგამოცდო ტესტირება განხორციელდა 2004 წლის თებერვლის ბოლოს.

შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციამ“ წარმოადგინა სსიპ „ენერჯო-გენერაციის“ მიერ მომზადებული „ხაღორის ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის აქტი“, ენერჯოზედამხედველობის და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის, აგრეთვე შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დასკვნები, რომელთა თანახმად, №1 ენერჯობლოკი მზად იყო საექსპლოატაციოდ და შესაძლებელი იყო ხაღორძესის დროებითი სქემით მიერთება შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გადამცემ ქსელთან, ერთი წლის ვადით.

შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციაზე“ გაიცა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №059, სერია 11, ერთი წლის ვადით მხოლოდ №1 ჰიდროაგრეგატზე.

2004 წლის იანვრიდან ივნისამდე საქართველოს ენერჯოსისტემაში შექმნილი ენერჯოდეფიციტის გამო, ელექტროენერჯის იმპორტს რუსეთიდან და სომხეთიდან ახორციელებდა სს „თელასი“, შპს „აჭარის ენერჯოკომპანია“ და სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია“, რომლებზეც სემეკის გადაწყვეტილებით გაცემული იყო იმპორტის ლიცენზიები,

სხვადასხვა ვადით. სს „თელასი“ იმპორტს ახორციელებდა სომხეთიდან და რუსეთიდან, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ – რუსეთიდან და სომხეთიდან, ხოლო შპს „აჭარის ენერგოკომპანია“ – რუსეთიდან.

2004-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში არსებული ენერგოკრიზისის გამო გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა – სს „საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ“, სს „თელასმა“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანიამ“, სხვადასხვა დროს სემეკში შემოიტანეს განაცხადი ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის მისაღებად. სემეკის გადაწყვეტილებით სამივე კომპანიაზე გაცემულია ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიები 2005 წლის 1 აპრილამდე.

სემეკის 2003 წლის 6 ივნისის №27/1 გადაწყვეტილებით ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია შეჩერებული ჰქონდა ხრამჭესი – II-ს, რომლის მიზანი იყო სადგურში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მაგრამ მისმა ახალმა ფლობელმა კომპანიამ არანაირი სარემონტო სამუშაოები არ ჩაატარა. ხრამჭესი–II სემეკში შემოვიდა წერილით ლიცენზიის შეჩერების ვადის გაგრძელების მოთხოვნით, მაგრამ სემეკის 2004 წლის 13 აგვისტოს №14/2 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ლიცენზიის შეჩერების ვადის გაგრძელებაზე და დაევალა ელექტროსადგურის მფლობელ კომპანიას ჩატარებინა ის აუცილებელი სარემონტო სამუშაოები, რომლებიც საშუალებას მისცემდა სადგურს ემუშავა 2004-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონში.

3.3 ელექტროენერგეტიკულ სექტორში დასაქმებული ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმების შედეგები

სემეკის 2004 წლის №11/2 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ლიცენზიატთა მიერ ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის, განაწილების ლიცენზიების პირობების შესრულების შემოწმების გეგმა-გრაფიკი. ამ გადაწყვეტილების თანახმად, შემოწმებული იქნა წარმოების ლიცენზიატები (ვარციხეჭესების კასკადი, ლაჯანურჭესი, ძევერულჭესი, შაორჭესი, რიონჭესი, გუმათჭესების კასკადი) და გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“. ლიცენზიატების შემოწმება ჩატარდა სესბისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის სპეციალისტებთან ერთად.

ელექტროსადგურების შემოწმების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ელექტროდანადგარების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა მეტად საგანგაშოა. რიგი ჰიდროაგრეგატები გაჩერებულია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2004 წელს მიმდინარეობდა მუშაობა ელექტროენერჯის განაწილების მცირე ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის

პირობების დაცვის შემოწმებისა და საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მოქმედების არეალის (საზღვრების) დასაზუსტებლად.

სემეკის აპარატის და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოხელამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ ერთობლივად შემოწმდა განაწილების ლიცენზიატის, შპს „საქართველოს რკინიგზის“ საქმიანობა. გამოვლინდა რიგი დარღვევები. შედგენილი იქნა სათანადო აქტი-მიწერილობა და 2004 წლის მარტში სემეკის ღია სხდომაზე შპს „საქართველოს რკინიგზას“ გაუუქმდა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია.

სემეკის 2004 წლის 26 ივნისის №11/2 გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის მიერ შემოწმდა ლაჯანურჰესის მიერ გამოძევაებული და ენერგოსისტემაში მიწოდებული ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძების მდგომარეობა.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ლაჯანურჰესის და მასზე მიერთებული ელექტროსისტემის აღრიცხვის სისტემები არ არის მოწესრიგებული. არ ხდება ლაჯანურჰესის მიერ გამოძევაებული და საკუთარ მოხმარებაზე დახარჯული ელექტროენერჯის სრულად აღრიცხვა. კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, ლაჯანურჰესში და მისგან გამავალ ელექტროქსელში ელექტროენერჯის აღრიცხვა არასრულყოფილია განხორციელებული. 2004 წელს ელექტროსადგურების მიერ გამოძევაებული ელექტროენერჯის აღრიცხვის მოსაწესრიგებლად სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ მიზნობრივად გამოყო თანხები და ამჟამად ლაჯანურჰესში აღრიცხვის კვანძების აღდგენითი სამუშაოები დასრულებულია და შეყვანილი იქნება საექსპლუატაციოდ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სემეკის 2004წ. 23 ივნისის №11/2 გადაწყვეტილების საფუძველზე, შემოწმდა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, სამცხე ჯავახეთის, კახეთის, გურიის, ქვემო ქართლის რეგიონები და ცენტრალური აპარატი.

შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გადაცემის სექტორის ელექტრომომწოდებლობის ტექნიკური მდგომარეობის, ელექტროსისტემის იმედიანობისა და მდგრადობის დონის ასამაღლებლად ბევრი რამ მოსაგვარებელია. ადგილებზე დაბალია დისციპლინა, არ არის დახვეწილი ორგანიზაციული სტრუქტურა, არ მარაგდება ობიექტები პროფილაქტიკურ-სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო მარაგნაწილებით. ადგილებზე არ არსებობს, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია.

ამ საკითხებთან დაკავშირებით სემეკი იმსჯელებს 2005 წლის პირველ კვარტალში შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მოსმენის და შემოწმების შედეგების განხილვისას.

სემეკის 2004 წლის №11/2 გადაწყვეტილების თანახმად, შემოწმდა სს „აზოტი“, როგორც ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატი. შემოწმების შედეგებზე სემეკი იმსჯელებს 2005 წლის პირველ ნახევარში.

3.4. სხვა ფუნქციათა განხორციელება ელექტროენერჯეტიკის სექტორში

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა, ელექტროენერჯეტიკულ სექტორში სემეკის მიერ იხილებოდა სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც:

1. სემეკის 2003 წლის №6 დადგენილების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ელექტროენერჯის ყიდვა – გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულებები:

შპს „მცირე ენერჯოკომპანიას“ და სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“ შორის; სს „რიონქესსა“ და შპს „ქუთაისის პურის მიმღებს“ შორის; სს „საცხენისსა“ და „კასტელი საქართველოს“ შორის; სს „სიონქესი – 98“-სა და სს „კასპიციემენტს“ შორის; სს „ბევრულქესსა“ და სს „ჭიათურმანგანუმს“ შორის;

2. სემეკის 2001 წლის 31 დეკემბრის №19 დადგენილების შესაბამისად, იმ ელექტროსადგურებისათვის, რომლებიც უშუალოდ 6 ან 10 კვ სალტებიდან აწვდიან ელექტროენერჯიას მომხმარებლებს, დამტკიცდა ელექტროენერჯის ყიდვა – გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულებები:

შპს „ენტოსა“ და სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“ შორის; შპს „ქცია – 94“-სა და სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“ შორის; შპს „ენტოსა“ და სს „საქართველოს ელექტროკავშირის ფილიალის – მაგისტრალურ ქსელებს“ შორის.

3. მომხმარებელთა მოთხოვნების საფუძველზე, სემეკმა განიხილა ვანის რაიონისათვის ელექტროენერჯის სტაბილურად მიწოდების შესაძლებლობის საკითხი (სემეკის 2004 წლის 28 იანვრის №2/4 გადაწყვეტილება).

იმის გამო, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ სრულდებოდა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, ვანის რაიონის ელექტრომომარაგების საკითხი განმეორებით იქნა განხილული სემეკის 2004 წლის 15 ოქტომბრის ღია საჯარო სხდომაზე. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მკაცრად იქნა გაფრთხილებული, რომ უზრუნველყოს სემეკის გადაწყვეტილების შესრულება და ელექტროენერჯის საფასურის გადახდის მაჩვენებლის მიხედვით მიაწოდოს ელექტროენერჯია ვანის რაიონს.

2004 წლის 28 მაისს სემეკის ღია სხდომაზე მოსმენილი იქნა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, როგორც გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის, ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ამასთანავე, განხილულ იქნა მმართველი ჯგუფის მიერ მომზადებული „მე-4 ეტაპის ანგარიშები“ ელექტროენერჯის სექტორში შპს „საქართველოს სახელმწიფო

ელექტროსისტემის“ შეთავაზება საქართველოს ენერგოსექტორში ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შესახებ“. მიღებული საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, 2004 წლის სექტემბერში უნდა შემდგარიყო შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ განმეორებითი მოსმენა. ვინაიდან შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვერ უზრუნველყო სექტემბერში დაგეგმილი მოსმენისათვის საჭირო სათანადო მასალების დროულად წარმოდგენა, მათი მოსმენა გადაიდო 2005 წლისათვის.

სემეკმა შეისწავლა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ანგარიში 2004 წელს ჩატარებული სამუშაოების და სააუდიტორო ფირმა „Backer & Tilly“-ს მიერ მომზადებული დასკვნა 2002-2003 წლების ფინანსური შედეგების შესახებ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მართვის კონტრაქტის ძალაში შესვლის შემდეგ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების ტენდენცია არ შეიმჩნევა. ის, პირიქით, გაუარესდა. საგადასახადო ვალდებულებები და სახელფასო დავალიანებები შემცირების ნაცვლად მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მდგომარეობიდან გამოსასვლელად მმართველმა კომპანიამ მიმართა სასამართლოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების მოთხოვნით. შექმნილი რთული მდგომარეობის გათვალისწინებით, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 9 ივლისს მიიღო განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის 18 თვით გადავადების შესახებ.

5. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და სხვა ლიცენზიატებიდან შემოსული ინფორმაციების საფუძველზე, რომლებიც ეხებოდა ოპერატიულ მართვაში არსებულ დარღვევებს, სემეკის 2004 წლის 10 ივნისის საჯარო სხდომაზე მიღებული იქნა №10/8 გადაწყვეტილება „საქართველოს ენერგოსისტემაში ოპერატიული დისციპლინის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

6. 2004-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ქ. თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად სს „თელასის“ მომართვის საფუძველზე, 2004 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე სემეკმა მიიღო გადაწყვეტილება №22/2 სს „თელასის“ მიერ შექმნილი ელექტროენერჯის დედაქალაქისათვის დაუბრკოლებლად მიწოდების შესახებ.

7. 2004 წელს სემეკში იმართებოდა ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატების მოსმენა 2004-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადებასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2004 წლის 23 ივლისს მოსმენილი იქნა:

– შპს „ლაჯანურჰესის“ საქმიანობის შესახებ ანგარიში. გამოიკვეთა, რომ ჰესის რეაბილიტაციის პროექტის შეფერხება გამოწვეული იყო ადგილობრივი ძალებით ჩასატარებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაუფინანსებლობით.

– შპს „ვარდნილქვის“ საქმიანობის შესახებ ანგარიში. აღინიშნა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო 13 წლის ცნობილმა მოვლენებმა და შექმნილმა მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ სადგური მიიყვანა უკიდურესად მძიმე ტექნიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობამდე. გაფორმებულია ხელშეკრულებები 2004-2006 წლებში ვარდნილქვს-I-ის ელექტრული და ჰიდრომექანიკური ნაგებობების სრული რეაბილიტაციისათვის.

– 2004 წლის 13 აგვისტოს მოსმენილი იქნა შპს „ენგურქვის“ ანგარიში 2004-2005 წლების შემოდგომა – ზამთრის სეზონის მზადებასთან დაკავშირებით.

8. 2004 წელს სემეკის ელექტროენერგეტიკულ სექტორში განხილულ იქნა 100-ზე მეტი სადავო საკითხი მომხმარებელსა და ენერგეტიკის ლიცენზიატებს, ან თვით ლიცენზიატებს შორის. 30-ზე მეტი სადავო საკითხი იქნა განხილული სს „თელასთან“ დაკავშირებით.

სადავო საკითხების შესასწავლად სემეკში იმართებოდა შეხვედრები მხარეებს შორის. სემეკი გასცემდა წერილობით დასკვნებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საკითხს იხილავდა სემეკის ღია სხდომებზე.

4. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობა

საანგარიშო პერიოდში სემეკი მუდმივად ახორციელებდა სესბის საქმიანობის მონიტორინგს კანონის შესაბამისად. სესბმა სემეკში წარმოადგინა 2004 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული იყო განსახორციელებელი სამუშაოების პრიორიტეტები. ერთ-ერთი პრიორიტეტი სესბის მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და მართვის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად იყო სრულყოფილი ორგანიზაციული სტრუქტურის შემოღება. ის, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა სწორი საკადრო პოლიტიკის წარმართვას, ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესებას, სესბის მუშაობის ტრანსფარენტულობას და სხვ. მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად ამჟამად სესბში 65 საშტატო ერთეულია,

მათ შორის:

- ადმინისტრაცია - 10;
- ოპერაციების დირექტორატი - 37 ;
- ფინანსური და საბუღალტრო დირექტორატი - 9 ;
- იურიდიულ საქმეთა დირექტორატი –7 ერთეული;
- სესბის სამდივნო - 2 .

სესხის 2004 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი პროექტის ხარჯები გასულ, 2003 წელთან შედარებით, გაზრდილი იყო 763,7 ათასი ლარით, ანუ 19,6%-ით. სემეკში ჩატარებული განხილვის შედეგად ბიუჯეტის ახალი პროექტი შემცირდა 517,9 ათასი ლარით, რამაც გამოიწვია სესხის საწევრო კოეფიციენტის დამტკიცება 0.008 სიდიდით. სემეკმა დადებითად შეაფასა სესხის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ტრანსფარენტულობა და 2004 წლის 4 აპრილს №16 გადაწყვეტილებით დაამტკიცა იგი.

ძირითადი პრობლემა, რომელიც დღეს სესხის წინაშე დგას, კვლავ არის რეალიზებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა თანხების ამოღების მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია, არსებული სიტუაცია ჯერ კიდევ შორს არის სასურველისაგან. საბითუმო ბაზრიდან ელექტროენერჯის შესყიდვების მაჩვენებლების განხილვისას ჩანს, რომ შესყიდული ელექტროენერჯის ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 75%, მოდის გამანაწილებელ კომპანიებზე, ხოლო პირდაპირი მომხმარებლები შეისყიდებიან ელექტროენერჯის საერთო რაოდენობის 25%-ს.

2004 წელს ამოღების მაჩვენებელმა ელექტროენერჯეტიკულ სექტორში მოქმედ ლიცენზიატებსა და პირდაპირ მომხმარებლებზე შეადგინა დარიცხული თანხის 46,4%, მათ შორის, ნაღდი ფულის ამოღებამ - 40,4%, რაც ალბებულ ვალდებულებებზე გაცილებით ნაკლებია (სესხმა აიღო ნაღდი ფულის ამოღების მაჩვენებლის 2003 წელს 75%-მდე გაზრდის ვალდებულება). ეს მაჩვენებელი შემცირდა ასევე წინა წელთან შედარებით, რაც აიხსნება იმით, რომ 2004 წელს, განსხვავებით 2003 წლისგან, აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემცირდა დაახლოებით 18-ჯერ და შეადგინა 2,9 %. ასევე შემცირდა გამანაწილებელი კომპანიებიდან მთლიანი თანხის ამოღების მაჩვენებელი და შეადგინა 25,7 %, მათ შორის ნაღდი ფულის ამოღებამ - 17,7%. პირდაპირი მომხმარებლებიდან მთლიანი ამოღების მაჩვენებელმა შეადგინა დარიცხულის 96,5%, მათ შორის ნაღდი ფულის ამოღებამ - 95,7%.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა სემეკი, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნაღდი ფულის ამოღება, რაც იმის შედეგია, რომ სესხმა კიდევ უფრო გაზარდა ელექტროენერჯის ვაჭრობის პროცესში სრული გამჭვირვალების პრინციპი. გააუქმა ელექტროენერჯის შესყიდვის ბარტერული და ჩათვლითი მექანიზმები, დარეგულირდა ურთიერთობები საგადასახადო დეპარტამენტთან (გაცილებით შემცირდა სესხის ანგარიშის დაყადაღების რაოდენობა), შეწყვიტა ელექტროენერჯის გაყიდვის ან/და იმპორტის კონტრაქტებში მონაწილეობა, რომლითაც თავიდან აიცილა ისეთი მოვალეობანი, რომელთა შესრულების საშუალებაც მომავალში სესხს არ გააჩნდა, შეიმუშავა სპეციალური ანგარიში და თანხების განაწილების მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი ამოღებული თანხიდან გენერაციისა და მომსახურე ორგანიზაციებისათვის

კუთვნილი წილის გადაცემას. შედეგად გაიზარდა მათთვის თანხის გადახდის მაჩვენებლები, რომელმაც მთლიანი თანხის 50,1% შეადგინა, მათ შორის ნაღდი ფულის გადახდამ 44,34%. შედარებისათვის: 2003 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად იყო 37 და 32%.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით, მიღწეულია გარკვეული წარმატება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, საერთო სურათი ელექტროენერგეტიკაში მაინც საკმაოდ მძიმე რჩება, განსაკუთრებით ელექტროენერგეტიკული სექტორის გამრიცხველიანების თვალსაზრისით. გამანაწილებელი სექტორის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გაუმრიცხველიანებულია (თუ არ ჩავთვლით აჭარას და თბილისს), რაც განლავთ ტოტალური არგადახდების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ამის ნათელი მაგალითია სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპანიამ გასულ წელს შეძლო 6%-დან 27,5%-მდე გაეზარდა თანხების ამოღების მაჩვენებელი, მდგომარეობა მაინც ძალიან მძიმეა, რადგან ჯერ კიდევ ვერ დამყარდა სრული ფინანსური და ტექნიკური წესრიგი ამ ენერგოკომპანიაში. როგორც ცნობილია, აღნიშნულ ენერგოკომპანიაში 2002 წლის მაისში მართვის უფლებით შევიდა ამერიკული საკონსულტაციო კომპანია PA-consulting, რომელმაც გარკვეულწილად შეძლო გაუმჯობესებინა კომპანიის მენეჯმენტი.

საანგარიშო პერიოდში სემეკის მიერ რეგულარულად ხორციელდებოდა სესბის საქმიანობის მონიტორინგი ელექტროენერჯის აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, ეს წელი, 2003 წელთან შედარებით, უფრო წარმატებული აღმოჩნდა, კერძოდ, დაიწყო სექტორის გამრიცხველიანებისათვის აუცილებელი სამუშაოების ჩატარება. 2004 წელს, გასული წლების განმავლობაში პირველად სახელმწიფოს მიერ განხორციელდა გამრიცხველიანებისათვის საჭირო თანხების მობილიზება.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში სესბმა დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულა და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სესბის მენეჯმენტის ეფექტურობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ის ჯერ კიდევ შორს არის იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომელიც მან მართვის კონტრაქტის შესაბამისად აიღო.

5. ტარიფების დადგენა და რეგულირება

5.1. ელექტროენერგეტიკა

2004 წელს ენერგეტიკულ სექტორში ტარიფების რეგულირების სამუშაოები მიმდინარეობდა ისეთი სამი ძირითადი მიმართულებით,

როგორცაა: ლიცენზიატებისათვის ტარიფების დადგენა (წინასაპროექტო ტარიფების პროგნოზების ჩათვლით), ანალიზური სამუშაოების შემდგომი გადრმაგება და ტარიფების რეგულირების მეთოდოლოგიური ასპექტების სრულყოფა.

2004 წელს ენერგეტიკის სფეროში მნიშვნელოვან სამუშაოთა შორის უნდა გამოიყოს სს „თელასის“ სატარიფო განაცხადის განხილვა, რომლის თაობაზეც დაწვრილებითი ანგარიში მოცემულია 5.2. პარაგრაფში.

საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგეტიკულ სექტორში სატარიფო საკითხებზე მიღებულ იქნა სემეკის 6 დადგენილება და 1 გადაწყვეტილება.

2004 წელს ამუშავდა ხადორის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აშენებული პირველი ახალი ჰიდროელექტროსადგურია. მშენებლობა დაფინანსდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიჩუანის სახელმწიფო ელექტროენერგეტიკული კომპანიის მიერ.

ხადორჰესისათვის ტარიფის დადგენის მიმართულებით მუშაობა სემეკის აპარატში ჯერ კიდევ 2003 წლის ბოლოდან დაიწყო. საკითხის სირთულის გათვალისწინებით, ამ მიზნით დაქირავებული აუდიტორული ფირმის შპს „კონსაუდის“ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ჰესის მშენებლობაზე რეალურად გაწეული დანახარჯები. გაფორმდა შეთანხმება შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციასა“ და სესბს შორის 2000 წლამდე დადებული „ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებაზე“ მორატორიუმის გამოცხადებისა და ხადორის ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსის მუშაობის დროებითი რეჟიმის შესახებ“. კორპორაციის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ კომპლექსის სრულად დამთავრებამდე არაა მიზანშეწონილი გრძელვადიანი ტარიფის დადგენა და, აქედან გამომდინარე, დაწესებულ იქნა დროებითი (2005 წლის 1 ნოემბრამდე) ტარიფი 6.51 თეთრის ოდენობით 1 კვ/სთ-ზე.

„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 15 აგვისტოს №14 დადგენილებით მოსახლეობისათვის დაწესდა საფეხურებრივი ტარიფები. მაგრამ, იმის გამო, რომ გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა, გარდა აჭარის ენერგოკომპანიისა, ვერ უზრუნველყვეს აღნიშნული ტარიფების ასამოქმედებლად ორგანიზაციულ-ტექნიკური ბაზის მომზადება, მოითხოვეს საფეხურებრივი ტარიფის ამოქმედების ვადის ჯერ 2003 წლის 1 დეკემბრამდე, ხოლო შემდეგ კი – 2004 წლის ნოემბრამდე და 2005 წლის 15 მაისამდე გადატანა. სემეკმა 30.09.03 №19, 23.07.04 №6 და 29.10.04 №15 დადგენილებებით დააკმაყოფილა ეს თხოვნები და მოქმედებაში დატოვა პირველი საფეხურის ტარიფი.

სემეკის 2004 წლის 30 სექტემბრის №12 დადგენილებით სს „თელასის“, ანალოგიურად სხვა გამანაწილებელი კომპანიებისა, დაუმტკიცდა სესბიდან ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფი 6–10 კვ ძაბვაზე, რის საფუძველზეც მოწესრიგდა ამ კომპანიის ფინანსური ურთიერთობები სესბთან.

2004 წელს „წისქვილკომბინატ-თბილისის“ სახით სს „თელასს“ გაუჩნდა მომხმარებელი 35-100 კვ ძაბვაზე და, ამდენად, საჭირო გახდა შესაბამისი ტარიფის დამტკიცება, რაც განხორციელდა სემეკის 2004 წლის 15 ოქტომბრის №14 დადგენილებით.

2004 წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული ელექტროენერჯის ცალკეული მომხმარებლებისათვის ინდივიდუალური ტარიფების გამოყენების შედეგების შესწავლა—ანალიზის მიმართულებით.

შესწავლილ იქნა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხვული სატუმბი სადგურებისათვის მიწოდებულ ელექტროენერჯის ტარიფების გამოყენების საკითხი. ეს ტარიფები დაწესებული იყო დროებით, მანამ, სანამ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო შეიმუშავებდა მითითებული დეპარტამენტის მიერ ჰესების წყლით მომსახურების სახელმწიფო რეგულირებად ფასს (2001 წლის პირველი ნახევარი).

მაგრამ, სამწუხაროდ, დაუსრულებლად გაჭიანურდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტისათვის წყლით მომსახურების საფასურის დადგენა და ამის გამო სესბმა 2004 წლის 1 იანვრიდან, აღნიშნულ დეპარტამენტსა და სესბს შორის ურთიერთობის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, უარი განაცხადა ჰესებიდან დეპარტამენტისათვის ელექტროენერჯის მიღებაზე. აქედან გამომდინარე, სემეკმა 2004 წლის 30 აგვისტოს მიიღო №15/1 გადაწყვეტილება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა მისი 2001 წლის 18 აპრილის №31 გადაწყვეტილება „მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის საირიგაციო სისტემებზე განთავსებული ჰესებისათვის წყლის მიწოდების ხარჯების ანაზღურების შესახებ“. ამავდროულად მიღებულ იქნა დადგენილება (30.08.04. №9) სემეკის 2003 წლის 26 აგვისტოს №15 დადგენილების მე-6 დანართის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, რომლითაც მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხვული სატუმბი სადგურებისათვის დაწესებული იყო ელექტროენერჯის მიწოდების ინდივიდუალური ტარიფები.

2004 წელს შესწავლილ იქნა სს „ხესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა“ და სს „ჭიათურმანგანუმის“, აგრეთვე ქ. თბილისის 4 ორგანიზაციის - შპს „თბილწყალკანალის“, შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“, შპს „თბილქალაქგანათების“ და შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმოს“ მიერ ელექტროენერჯის მოხმარების ინდივიდუალური ტარიფების გამოყენების საკითხები.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე და მომავალში აღნიშნული ინდივიდუალური ტარიფების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად სემეკის 2004 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა აღნიშნული საწარმოებისა და ქ. თბილისის მითითებული 4 ორგანიზაციის წარმომადგენელთა ინფორმაცია. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, სახელმწიფოებრივი პოზიციის

გამოხატვა ეთხოვათ ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის სამინისტროებს და საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს. საკითხის შესწავლა გრძელდება.

საანგარიშო პერიოდში სემეკის აპარატმა გარკვეული სამუშაოები გასწია ენერგეტიკული სექტორის რეგულირების მეთოდოლოგიის სრულყოფის სფეროშიც; შემუშავებული და სემეკის 2004 წლის 4 თებერვლის №3/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატებისათვის ყოველწლიური ფინანსური მონიტორინგის ფორმები და მაჩვენებლები. 2004 წლის 13 მაისის №8/2 გადაწყვეტილებით კი სემეკის მიერ დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური ანგარიშების წლიური და პერიოდული (კვარტალური) ფორმები ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიატებისათვისაც. ზემოაღნიშნული ფორმების შესაბამისად ინფორმაციის სემეკში წარმოდგენა სავალდებულო გახდა ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიატებისათვის.

აღნიშნული ფორმების შესაბამისად ენერგეტიკის სექტორის ლიცენზიატებისაგან მიღებული 2003 წლის ფინანსური ანგარიშები გაანალიზდა სემეკის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ და განხილულ იქნა სემეკის სხდომაზე.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, საყურადღებოა სემეკის 2004 წლის 29 აპრილის №6/2 გადაწყვეტილებაც, რომელშიც მოცემულია იმპორტირებული ელექტროენერჯის ტარიფის გაანგარიშების წესი.

სესიის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სემეკის 2004 წლის 23 ივნისის №5 დადგენილებით ცვლილებები იქნა შეტანილი „ელექტრობაზრის წევრთა საწევრო შენატანების განსაზღვრისა და გადახდის წესის დებულებაში“.

საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ანალიზისა და ფასწარმოქმნის დეპარტამენტში მომზადდა ელექტროენერჯის ტარიფების სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის ახალი პროექტი, რომელიც ამჟამად განიხილება სემეკის დეპარტამენტებში.

გარდა ამისა, 2004 წლის მე-2 ნახევარში მათივე ინიციატივით პერიოდულად ეწყობოდა დისკუსიები თემაზე: „ენერგეტიკულ სექტორში ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები“, რომლის გაგრძელება 2005 წელსაცაა გათვალისწინებული.

5.2. სს „თელასის“ ელექტროენერჯის განაწილების ტარიფის შემუშავების შესახებ

სს „თელასის“ 2004 წლის 30 აპრილის №1-04/81 წერილით წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი კომპანიის კუთვნილი განაწილების ტარიფის 7.207 თეთრიდან 11.14 თეთრამდე, ანუ 3.933 თეთრით გაზრდას

ითვალისწინებდა 1 კვტ.სთ-ზე ღღგ-ს გარეშე (ამის შესაბამისად სამომხმარებლო ტარიფი 18 თეთრამდე გაიზრდებოდა).

სატარიფო განაცხადის თანახმად, მისი განაწილების ტარიფის ზრდა, სს „თელასის“ აქციათა 75%-ის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, განპირობებულია შემდეგი სამი ჯგუფის ფაქტორებით:

1. ინფლაციური.
2. განვლილ პერიოდში განხორციელებული ჭარბი ინვესტიციები.
3. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები.

განაწილების ტარიფის ზრდის სოლიდური ნაწილი - 3.272 თეთრი, განაცხადის თანახმად განპირობებულია 1999-2003 წლებში განხორციელებული ჭარბი ინვესტიციით.

ღღგ-ს რეჟიმის ცვლილებაზე მოდის განაწილების ტარიფის მატება 2.911 თეთრით. 0.636 თეთრით მატება მოთხოვნილი იყო სესხთან ურთიერთობის ფინანსურ საღლოსთან დაკავშირებით.

განაცხადის მიხედვით განაწილების ტარიფის შემამცირებელი ფაქტორებია საგზაო ფონდთან დაკავშირებული შესწორება (0.017 თეთრით), ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გაუქმება (0.132 თეთრით), ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი (0.648 თეთრით) და 2001 და 2002 წლებში ახალი ტარიფის გადასინჯვის გადავადებით გამოწვეული შესწორება (0.182 თეთრით).

გამომდინარე იქიდან, რომ 2004 წლის 30 აპრილს სს „თელასის“ მიერ წარმოდგენილ სატარიფო განაცხადს არ ახლდა განაწილების ტარიფის გასაანგარიშებლად ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლისა და სემეკის 1998 წლის 1 ივლისის №3 დადგენილებით დამტკიცებული ელექტროენერჯის ტარიფების მეთოდოლოგიის, დადგენის წესებისა და პროცედურების მე-18 მუხლის თანახმად, სემეკმა სს „თელასის“ მოსთხოვა ყველა საჭირო ინფორმაციის დამატებით წარმოდგენა.

სემეკის ამ მოთხოვნას, მხოლოდ დამატებით შეხსენების შემდეგ, სს „თელასის“ მხრიდან 2004 წლის 17 აგვისტოს მოჰყვა რეაგირება, თუმცა ეს მასალა სრულად არც ამჯერად ყოფილა წარმოდგენილი და აუცილებელი გახდა დარჩენილი ინფორმაციის კიდევ ერთხელ მოთხოვნა.

სს „თელასის“ მხრიდან დამატებითი მასალების მოწოდების (2004 წლის სექტემბერი) შემდეგ, სემეკმა მიღებულად ჩათვალა სს „თელასის“ სატარიფო განაცხადი და გახსნილად გამოაცხადა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. ამ განაცხადის საჯარო განხილვები კი დაიწყო სემეკის 2004 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე და გაგრძელდა 22 ნოემბრის სხდომაზეც, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ყველა სადაო საკითხის განხილვა-შეჯერებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად (სემეკის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2005 წლის 24 თებერვალს).

რაც შეეხება უშუალოდ სს „თელასის“ სატარიფო განაცხადს, მის მიმართ სემეკს არსებითი ხასიათის შენიშვნები გააჩნია 3 კომპონენტთან მიმართებაში;

ესენია: დღგ-ს რეჟიმის ცვლილება, ფაქტიურსა და სესბ-ის ტარიფებს შორის სხვაობა და საფეხურებრივი ტარიფის აუმოქმედებლობით გამოწვეული დანაკლისი.

დღგ-ს რეჟიმთან დაკავშირებით სემეკის პოზიცია ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ განვლილ პერიოდში საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით სს „თელასს“ არა თუ არ გაუუარესდა ხელშეკრულების დადების მომენტიდან არსებული დაბეგვრის რეჟიმი, როგორც ეს სს „თელასის“ განაცხადშია აღნიშნული, არამედ რამდენადმე გაუუმჯობესდა კიდევაც, რის შედეგადაც სს „თელასმა“ მიიღო არა ზარალი, არამედ გარკვეული სარგებელი. ამ მოსაზრებას ადასტურებს დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა „იუ-ბი-სი ინტერნეიშენელი“, რომელსაც თან ახლავს ორი დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნებიც, აგრეთვე, აუდიტორული ფირმა „კონსაულის“ 2002 წლის დასკვნა, ფინანსთა სამინისტროს წერილი, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის წერილი და გაანგარიშებები. მიუხედავად ამისა, სს „თელასი“ მაინც სადაოს ხდის აღნიშნულ საკითხს.

სს „თელასის“ სატარიფო განაცხადის მიხედვით, კომპანიის მიერ პირდაპირი კონტრაქტებით შესყიდული ელექტროენერჯის ტარიფსა და სესბის ტარიფს შორის სხვაობასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების გამო, განაწილების ტარიფში გათვალისწინებულია ზრდის კომპონენტი 0.636 თეთრის ოდენობით.

რეალურად კი სს „თელასის“ მიერ პირდაპირი კონტრაქტებით შესყიდულ ელ.ენერჯის ტარიფსა და სესბის ტარიფს შორის სხვაობის ანაზღაურების საკითხი განეკუთვნება ორ იურიდიულ პირს შორის ფინანსური ანგარიშსწორების სფეროს და მას უშუალოდ კავშირი სს „თელასის“ განაწილების ტარიფთან არ გააჩნია. თავის მხრივ, სს „თელასმა“ ვერ წარმოადგინა სათანადო მტკიცებულებები აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლიანობის დასასაბუთებლად.

სემეკი უსაფუძვლოდ მიიჩნევს, აგრეთვე მოსახლეობისათვის საფეხურებრივი ტარიფის აუმოქმედებლობით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურების კომპონენტის გათვალისწინებას (0.272 თეთრის ოდენობით), რამდენადაც აღნიშნული გადავადება მოხდა თვით სს „თელასის“ მიზეზით.

აღნიშნულიდან, და, აგრეთვე, სხვა არგუმენტებიდან გამომდინარე, სემეკმა არ დააკმაყოფილა სს „თელასის“ მოთხოვნა მისი განაწილების ტარიფის გაზრდის შესახებ*.

* ცნობისათვის. სემეკის 2005 წლის 24 თებერვლის №3/1 გადაწყვეტილებით სს „თელასის“ განაწილების საშუალო ტარიფი განისაზღვრა 6,256 თეთრით 1 კვტ.სთ–ზე დღგ-ს გარეშე.

5.3 ბუნებრივი გაზი

ბუნებრივი გაზის სექტორში მიღებული სატარიფო დადგენილებები და გადაწყვეტილებები უმთავრესად დაკავშირებული იყო მიწოდების ტარიფების ცვლილებასთან და სტრუქტურულ-ორგანიზაციულ გარდაქმნებთან, ასევე ბაზარზე ახალი ლიცენზიატების შემოსვლასთან.

სემეკის 2004 წლის 29 აპრილის №6/6 გადაწყვეტილებით სს „საქცემენტზე“ გაიცა ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზია, ხოლო 2004 წლის 3 ივნისის №3 დადგენილებით დამტკიცდა სს „საქცემენტისთვის“ ბუნებრივი გაზის საბითუმო მიწოდების ტარიფი 140,33 ლარი/1000 კუბ მეტრზე (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე).

სემეკის 2004 წლის 23 ივნისის №4 დადგენილებით შეიცვალა სს „გარდაბანგაზის“ განაწილების და, შესაბამისად, მოხმარების ტარიფები გაზრდის მიმართულებით. სს „გარდაბანგაზისთვის“ ტარიფების ცვლილების საფუძველს წარმოადგენდა უკანასკნელ წლებში მისი მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო განაწილების ტარიფის და შემოსავლების დაბალი დონით. აღსანიშნავია, რომ 2001 წლის შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე მოხდა ბუნებრივი გაზის იმპორტის და მიწოდების ტარიფის გაზრდა, სს „გარდაბანგაზს“ სატარიფო განაცხადი სამომხმარებლო ტარიფის გაზრდის თაობაზე სემეკში არ წარმოუდგენია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბუნებრივი გაზის ტარიფების მასობრივი და მნიშვნელოვანი შემცირების სამუშაოები, რაც ძირითადად ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებას უკავშირდებოდა. სემეკის 2004 წლის 30 სექტემბრის №11 დადგენილებით 152,5 ლარიდან 130,83 ლარამდე შემცირდა ბუნებრივი გაზის მიწოდების ფასი (1000 მ³-ზე) ბუნებრივი გაზის ერთ-ერთ მთავარი იმპორტიორის, სს „იტერა-საქართველოსათვის“.

ამავე დადგენილებით, შესაბამისად, შეიცვალა (შემცირდა) მოხმარების ტარიფები იმ გაზგამანაწილებელი კომპანიებისთვის, რომლებიც ბუნებრივი გაზის მიღებას ახორციელებენ სს „იტერა-საქართველოდან“. ასევე, ახალ ლიცენზიატებს: შპს „გაზმშენს, შპს „მილსა“ და შპს „იბერია-2004“ დაუდგინდათ ბუნებრივი გაზის განაწილებისა და მოხმარების ტარიფები.

სემეკის 2004 წლის 24 დეკემბერს მიღებული №19 დადგენილებით შეიცვალა შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“, სს „აზოტისა“ და სს „საქცემენტის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფები. ამ შემთხვევაშიც ტარიფების კორექტირების საფუძველს წარმოადგენდა ლარის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება.

2004 წლის დეკემბერში გაშვებულ იქნა სს „თბილსრესის“ მე-3 ენერგობლოკი, რომელსაც, ხელშეკრულების თანახმად, ბუნებრივ გაზს აწოდებს სს „თბილგაზი“. ამასთან დაკავშირებით, სს „თბილგაზისთვის“ განისაზღვრა სს „თბილსრესის“ მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მიწოდების ინდივიდუალური ტარიფი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სს „თბილგაზის“ მიწოდებისა და, შესაბამისად, მოხმარების ტარიფების კორექტირების შესახებ. სემეკმა სამჯერ ოფიციალურად მიმართა სს „თბილგაზს“ სათანადო სატარიფო განაცხადის წარმოდგენის თაობაზე, რაზედაც სს „თბილგაზმა“ რეაგირება მხოლოდ ოქტომბრის თვეში მოახდინა. ამასთან, იგი ითხოვდა მიწოდების ტარიფის შემცირების შესაბამისად განაწილების ტარიფის გაზრდას და სამომხმარებლო ტარიფის უცვლელად დატოვებას. უფრო მეტიც, კომპანიის განაცხადი ითვალისწინებდა განაწილების ნაწილში ფიქსირებული ტარიფების შემოღებას, რაც ფაქტიურად ტარიფის ზრდის ტოლფასია. არსებითი ხასიათის საკითხებზე პოზიციის შეუთანხმებლობის გამო, სს „თბილგაზის“ ტარიფების საკითხზე 2004 წელს, სამწუხაროდ, გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიატა განაცხადების საფუძველზე, 2004 წელს მიღებულ იქნა ინდივიდუალური გადაწყვეტილებები ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის თაობაზე. კერძოდ, სემეკის 2004 წლის 18 თებერვლის №4/3 გადაწყვეტილებით სს „გაზმშენისთვის“, რომელიც საშუალო წნევის გაზსადენით მომსახურებას უწევს (გაზს უტარებს) სს „ავიამშენს“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებს დამტკიცდა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი – 33,33 ლარი/1000მ³-ზე დღგ-ს გარეშე.

სემეკის 2004 წლის 13 მაისის №8/3 გადაწყვეტილებით სს „გარდაბანიგაზს“, რომელიც მაღალი წნევის გამხოლოებული გაზსადენებით მომსახურებას უწევს (გაზს უტარებს) თბოელექტროსადგურებს, დაუმტკიცდა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფები სს „თბილსრესისთვის“ – 4,3 თეთრი, ხოლო შპს „ეი-ი-ეს მტკვარისთვის“ – 3,5 თეთრი 1000 მ³ გაზისათვის დღგ-ს გარეშე.

სემეკის 2004 წლის 13 მაისის №8/2 გადაწყვეტილებით ბუნებრივი გაზის ლიცენზიატების მიერ კომისიაში წარმოსადგენი სატარიფო განაცხადების დასაბუთების დონის, ეკონომიკურად გამართლებული ტარიფების დადგენის, მათი ფუნქციონირების ანალიზისა და შესაფასებლად, დამტკიცდა სათანადო ფორმები ფინანსური ანგარიშგებისა და პერიოდული (კვარტალური) ინფორმაციის სემეკში წარმოსადგენად.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის 2002 წლის 8 ოქტომბრის №01/01-01/133 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის – „იმ საქონლის (პროდუქციის, მომსახურების) ნუსხის (ნომენკლატურის) დამტკიცების შესახებ, რომელზეც ვრცელდება ფასების (ტარიფების) სახელმწიფო რეგულირება“ მიხედვით, საქართველოში ტარიფების სახელმწიფო რეგულირება ვრცელდება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებაზე, მიწოდებასა და

მოხმარებაზე. სახელმწიფო რეგულირება მოიცავს რა ბუნებრივი გაზის, როგორც საქონლის მოძრაობის ყველა ეტაპს მთლიანად, იგი ვრცელდება ნებისმიერ მიწოდებაზე, მ.შ. ავტოგასამართი სადგურების მიერ შეკუმშული (დაწნეხილი) ბუნებრივი გაზის რეალიზაციაზეც, რომელიც განსაკუთრებული ტექნიკური და ეკონომიკური თავისებურებებით ხასიათდება (საკითხი მომზადებულია და 2005 წლის ივნისში იქნება განხილული).

ამის გათვალისწინებით, სემეკის შესაბამისმა სამსახურმა შეისწავლა ავტოგასამართი სადგურების საქმიანობა ტარიფების რეგულირების თვალსაზრისით, და მიიჩნია, რომ ქვეყანაში ამ ეტაპზე უკვე აღარ არსებობს აღნიშნული სფეროს საწარმოთათვის ტარიფების პირდაპირი სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, რაც ასევე დასტურდება როგორც განვითარებული, ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებითაც.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია სემეკის მიერ შესათანხმებლად და სათანადო ზომების მისაღებად დაგზავნილ იქნა საქართველოს ენერჯეტიკის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროებში და ანტიმონოპოლიურ სამსახურში. საკითხის გადაწყვეტა ჭიანურდება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პოზიციის გაურკვევლობის გამო.

სემეკის 2004 წლის 9 ივნისის №10/1 გადაწყვეტილებით სს „კასპიგაზს“, რომელიც მაღალი წნევის გამზოლოებული გაზსადენით მომსახურებას უწევს (გაზს უტარებს) სს „კასპიცემენტს“, სს „მეტეხი კერამიკასა“ და სს „მეტეხს“, დაუმტკიცდა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი – 4,0 ლარი/1000 კუბ მეტრზე დღე-ს გარეშე. ამასთან, გაუქმებულ იქნა სემეკის 2001 წლის 11 ივლისის №53 გადაწყვეტილება, რომლითაც რეგულირდებოდა სს „კასპიგაზის“ და აღნიშნული საწარმოების ურთიერთობები.

ბუნებრივი გაზის სექტორის გასული წლების ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ კომპანიებისათვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სისტემაში არსებული დანაკარგების დიდი ოდენობა, რაც პირდაპირ აისახება მათ ფინანსურ შედეგებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სს „თბილგაზში“ არსებული მდგომარეობა. კერძოდ, მაშინ როდესაც ნორმატიული დანაკარგი სს „თბილგაზის“ ტარიფში გათვალისწინებულია 12%-ის ოდენობით, ფაქტობრივი მაჩვენებლების მიხედვით, 2003 წელს სს „თბილგაზის“ მიერ მიღებული ბუნებრივი გაზის მოცულობა შეადგენდა 289,7 მლნ. კუბ. მეტრს, საიდანაც რეალიზაციაში ასახულია მხოლოდ 87,2 მლნ. კუბ. მეტრი, ხოლო 202,6 მლნ. კუბ მეტრი, ანუ 69,9% დანაკარგია, ხოლო 2004 წლის 9 თვეში დანაკარგმა შეადგინა 142,7 მლნ. კუბ მეტრი, ანუ 62,9% მიღებული (226,9 მლნ. კუბ მეტრი) გაზის მოცულობის მიმართ. შესაბამისად, 2003 წელს გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებელმა შეადგენდა 30,4%, საფინანსო შედეგი კი 40,2 მლნ.ლარის ზარალით დაასრულა, ხოლო 2004 წლის 9 თვეში ამოღების მაჩვენებელი 35,3%-ით განისაზღვრა, ფინანსური შედეგი კი ოპერატიული მონაცემებით 40,0 მლნ. ლარამდგა. ამასთან, 2004 წლის 1

ოქტომბრის მდგომარეობით, კრედიტორულმა დავალიანებამ საურავების ჩათვლით 215,0 მლნ. ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც დებიტორული დავალიანება მხოლოდ 11,2 მლნ. ლარია. არანაკლები მძიმე მდგომარეობაა დანარჩენ გაზგამანაწილებელ კომპანიებში, რომელიც ძირითადად განპირობებულია როგორც გაზსადენების მძიმე ტექნიკური მდგომარეობით, ასევე აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობით, რაც შესაბამისად იწვევს გაზის ღიდი ოდენობით გაჟონვას, ასევე მომხმარებლების მხრიდან მის დატაცებას.

ბუნებრივი გაზის სექტორში არსებული კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად კომპანიების მომავალ საქმიანობაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ პროგრამებს და ცალკეულ ღონისძიებებს, რომელიც დაკავშირებული იქნება ბუნებრივი გაზის დანაკარგების შემცირებასთან, აღრიცხვიანობისა და გადახდების მოწესრიგებასთან და სხვ. ამასთან, სექტორის კომპანიების სრული რეაბილიტაცია (როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური) შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო საწარმოების პრივატიზების გზით.

ენერგეტიკულ სექტორში ტარიფების დადგენისა და რეგულირების შემდგომი სრულყოფის მიზნით დაწყებულია და გაგრძელდება სატარიფო სისტემის კომპლექსური გადასინჯვის (ახალი გარემოებებიდან, უპირველეს ყოვლისა, ახალი საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე), ტარიფების გაანგარიშებისა და დადგენის მეთოდოლოგიისა და პროცედურების გაუმჯობესების სამუშაოები. იხვეწება ენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატთა ფინანსური ანგარიშების შესწავლა-ანალიზის არსებული პრაქტიკა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტარიფების დასადგენად აუცილებელი საპროგნოზო პარამეტრების სათანადო სიზუსტე. შესწავლილ იქნება და დაზუსტდება ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებში ტექნიკური დანაკარგები. ელექტროენერჯის მოხმარების ინდივიდუალური ტარიფების გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ყოველმხრივი ანალიზიდან გამომდინარე, მიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები. გაგრძელდება ღია დისკუსიები ენერგეტიკულ სექტორში ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებზე.

6. საქართველოს გაზომარაგების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება

საქართველოში ნავთობისა და გაზის მარაგების სახელმწიფო ბალანსში აღრიცხული ნინოწმინდის, სამგორისა და რუსთავის გაზის საბადოებიდან სამრეწველო მოპოვება წარმოებს მხოლოდ ნინოწმინდის საბადოს ე.წ. „გაზის ქუდიდან“, ხოლო სამგორისა და რუსთავის საბადოები კონსერვაციაშია. 2004 წლისათვის გაზის მოპოვებისა და მარაგების რაოდენობა მოცემულია ცხრილში.

საბადოთა დასახელება	მოპოვება, მლნ. მ ³	გაზის მარაგი, მლნ. მ ³	მარაგის კატეგორია
ნინოწმინდა	10,9	681	მოპოვება მიმდინარეობს ჩ ₂ კატ. მარაგებიდან
სამგორი	-	968	C ₁
რუსთავი	-	1545 5157	C ₁ C ₂

2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების საერთო სიგრძე შეადგენს 1940 კმ, რომლებითაც ხორციელდება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს მომხმარებლებისათვის და ტრანზიტი სომხეთში. გაზსადენების წლიური საპროექტო წარმადობაა 20 მლრდ. მ³ გაზი.

2004 წლისათვის გაზის მოწოდებამ სულ შეადგინა 2564 მლნ. მ³, მათ შორის: ტრანზიტით სომხეთს მიეწოდა 1333 საქართველოს–1231 მლნ.

საქართველოს გაზსადენების ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში.

საქართველოს გაზსადენის ტექნიკური მონაცემები

#	დასახელება	დიამეტრი, მმ	სიგრძე, კმ	აშენების წლები
1.	ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასია	1200	135	1988-1994
2.	ყაზახ-საგურამო	1000	112	1980
3.	ყარადაღ-თბილისი	800-700-500	110	1959-1968
4.	ვლადიკავკაზ-თბილისი	700	266	1963-1966
5.	საგურამო-ქუთაისი	700-500	370	1967-1975
6.	ქუთაისი-სოხუმი	700-500	338	1986-1989
7.	რუსთავი-თელავი-ჟინვალის	500-300-200	370	1969-1975
8.	წითელი ხიდი-წალკა-ალასტანი	500-300	180	1978-1990
9.	გომი-ხაშური-ბაკურიანი	500-300	59	1972-1989
სულ:			1940	

გაზსადენები გაყვანილია რთულ რელიეფურ და კლიმატურ პირობებში და 2400 მ სიმაღლეზე კვეთს კავკასიონის მთავარ ქედს. გაზსადენების უმაღლეს და უმდაბლეს წერტილებს შორის დონეთა სხვაობა აღწევს 2000 მ-ს. სულ გაზსადენი კვეთს 600 მ-ზე მეტ ბუნებრივ და ხელოვნურ ზღუდეს. 9 კმ სიგრძის გაზსადენი გაყვანილია სპეციალურად აგებულ 14 გვირაბში. 1100 კმ-ზე მეტი სიგრძის გაზსადენი აშენებულია 1959-1975 წლებში.

2004 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იყო 2075 ათასი ლარი, რომლითაც შესრულდა ყველა დაგეგმილი სამუშაო.

სამუშაოები ჩატარდა: შპს "ბორჯომიგაზში", შპს "ვანიგაზში", შპს "სამგრედიაგაზში", სს "რუსთავიგაზში", სს "გორიგაზში", სს "კასპიგაზში", სს "ქუთაისიგაზში", სს "თეთრიწყაროგაზში" და სს "ბოლნისიგაზში".

ცხრილში მოყვანილია 2004 წელს ჩაგარებულ სამუშაოთა შედეგები

მეურნეობა	გაზის ბალანსი ღონისძიებების ჩაგარებამდე {საშუალო თვიური მონაცემები}				გაზის ბალანსი ღონისძიებების ჩაგარების შემდეგ {საშუალო თვიური მონაცემები}				შედეგი
	მიღება, ათ.მ ³	რეალიზაცია, ათ.მ ³	დანაკარგი		მიღება, ათ.მ ³	რეალიზაცია, ათ.მ ³	დანაკარგი		
			ათ.მ ³	%			ათ.მ ³	%	
ბორჯომიგაზი	307.6	226.1	81.4	26.5	439.3	319.8	120.1	33.2	5.7
ვანიგაზი	14.3	9.7	4.6	32.1	22.4	15.7	6.7	29.9	-2.2
სამგრედიაგაზი	134.7	103.3	31.4	23.3	164.7	131.6	33.1	20.9	-2.4
რუსთავიგაზი	841.8	634.3	207.5	24.6	1205.6	997.3	208.3	17.3	-7.3
გორიგაზი	75.4	70.4	5.0	6.6	81.6	70.9	13.1	16.0	9.4
კასპიგაზი	73.2	67.8	5.6	7.6	130.3	122.7	7.6	5.8	-0.2
ქუთაისიგაზი	765.8	484.8	281.5	36.7	1088.5	736.0	352.5	32.4	4.3
სულ	2212.8	1596.4	617.0	27.8	3132.9	2388	744	23.7	-4.7

6.1. ლიცენზირება

2004 წელს გაიცა ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების 26 ლიცენზია (16 მიწოდების და 9 განაწილების), რომელთა მფლობელი გახდა 17 ლიცენზიატი (დანართი №8).

სემეკის მიერ 2004 წელს გაიცა ერთი ტრანსპორტირების ლიცენზია შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“,

მოდიფიცირება ჩაუტარდა 10 ლიცენზიატის ლიცენზიებს, მათ შორის 3-ჯერ სს „თბილგაზს“, 3-ჯერ შპს „ეი-ი-ეს მტკვარს“, 2-ჯერ სს „საქცემენტს“ და 8-ჯერ შპს „საქართველოს ტრანსპორტირების კომპანიას“ (დანართი №9).

პრივატიზების პროცესი

2004 წლის საანგარიშო პერიოდში ბუნებრივი გაზის სექტორში პრივატიზება არ განხორციელებულა.

6.2. სს „თბილგაზის“ შესახებ

როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებით ტრესტი „თბილგაზი“ მუნიციპალურ საკუთრებაში გადავიდა, შემდგომში კი მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „თბილგაზი“.

ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 27 იანვრის №02.01.25 დადგენილებით გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა ამხანაგობა „ახალმა მენეჯმენტმა“, რომელმაც დაამუშავა და წარუდგინა დასამტკიცებლად საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მოსახლეობის მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარების დროებითი ნორმები მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით.

2004 წლის იანვარ-თებერვალში „ახალი მენეჯმენტის“ მიერ გაზის საფასურის ამოღების სახელშეკრულებო მაჩვენებლების მისაღებად გაუქმდა ინკასატორების ინსტიტუტი და შემოღებულ იქნა წამკითხველთა ინსტიტუტი, შეიქმნა მძლავრი კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკავშირებულია ქ. თბილისში განლაგებული ბანკების 50-მდე ფილიალთან, შეიქმნა ბილინგის სამსახური.

გრძელდება საცხოვრებელი კორპუსების გაზგაყვანილობის ცალკეულ დგარებზე საკონტროლო მრიცხველების დაყენება.

ამ და სხვა გატარებული ღონისძიებების შედეგად მოხმარებული გაზის საფასურის ამოღების პროცენტული მაჩვენებლები გასული წლის შესაბამის თვეებთან შედარებით, გარკვეულწილად გაუმჯობესდა. ქვემოთ მოყვანილია 2003 წლისა და 2004 წლის მოხმარებული გაზის ღირებულების ამოღების პროცენტის შედარებითი ცხრილი.

თვე	ამოღება, %		შენიშვნა
	2003 წ.	2004 წ.	
იანვარი	33,6	22,9	
თებერვალი	27,6	14,4	დათხოვნელ იქნა ყველა (310) ინკასატორი
მარტი	28,8	34,4	გადახდის საბანკო სისტემაზე გადასვლა
აპრილი	39,1	44	
მაისი	53	93	
ივნისი	44	57	
ივლისი	43	63	
აგვისტო	40	64	
სექტემბერი	32	43	„თბილგაზის“ მართვის ახალ მეთოდებზე გადასვლა
ოქტომბერი	28	28	
ნოემბერი	21	23	
დეკემბერი	22,5	20,8 (30,7)	ფრჩხილებში ნაჩვენებია ამოღების %- „თბილსრესთან“ ერთად

ამხანაგობა „ახალი მენეჯმენტმა“, გრაფიკის მიხედვით დაიწყო 2002-2003 წლის ძველი სახელფასო დავალიანების გაცემა, რომელიც „ამხანაგობის“ „თბილგაზში“ შესვლის დროს შეადგენდა 1004.5 ათას ლარს. გასტუმრებულ იქნა 914 700 ლარის სახელფასო დავალიანება; 2600 000 ლარით შემცირდა მოსახლეობაზე გაზის უფასოდ მიწოდების არსებული დავალიანება (იყო 7200 000 ლარი), 3900000 ლარით შემცირდა სასამართლო ვალდებულებები.

2004 წლის მარტში მერიაში გაიგზავნა (16.03.04 №24) სს „თბილგაზის“ ტექნიკური და საფინანსო-ეკონომიკური განვითარების 10-წლიანი პროგრამა და 2004 წლის ბიზნეს-გეგმა.

აღნიშნულ პროგრამებში განისაზღვრა ქ. თბილისის გაზის მეურნეობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 150 მლნ. ლარის ფარგლებში, მათ შორის გაზსადენებისათვის - 100 მლნ. ლარი, ხოლო გაზის აღრიცხვის მოწესრიგებისათვის - 50 მლნ. ლარი.

საჭირო ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია მათთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად აწარმოებდა მოლაპარაკებებს:

- მსოფლიო ბანკთან;
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან;
- ევროკომისიასთან;
- დონორ ქვეყნებთან.

მიუხედავად აღნიშნულისა, ისინი თავს იკავებდნენ გადაწყვეტილებების მიღებისაგან იმ მოტივით, რომ მათ სჭირდებათ გარკვეული დრო, რათა დააკვირდნენ „ახალი მენეჯმენტის” საქმიანობას, კერძოდ, ადრე არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამოსწორების მიმდინარეობას.

პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, რის შედეგადაც 2004 წლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ა/წ ოქტომბერში გამოიყო 3,5 მლნ. ლარი. სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება დასასრულს უახლოვდება.

2004 წლის ბიზნეს-გეგმის თანახმად, 2003 წლის მონაცემებით, მუშაკთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენდა 1558 კაცს. ფაქტიურად 2004 წლის ბოლოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 1665 კაცი, რაც გამოწვეულია 2004 წლის აგვისტოდან „თბილგაზის” ახალი ხელმძღვანელობის მიერ სტრუქტურული რეორგანიზაციით.

სს „თბილგაზმა” 31.05.2004 წ. მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელ კომისიას წერილით, რითაც ითხოვდა, რომ განხილულიყო ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურის საკითხი და გადავადებულიყო დავალიანება მაქსიმალური ვადით. აქედან დავალიანების გაყინვის პერიოდი განსაზღვრულიყო 5 წლის ვადით, ხოლო გადავადების პერიოდი კი – 10 წლის ვადით. იმის გამო, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება სს „იტერა-საქართველო“-სთან, აღნიშნული საკითხი კომისიამ დადებითად ვერ გადაწყვიტა.

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ 2003 წლის 21 აგვისტოს ამხანაგობა „ახალ მენეჯმენტსა” და ქ. თბილისის მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულების, სს „თბილგაზის” ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის (96.05%) მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე, მოთხოვნები ძირითადად ვერ სრულდება ან სრულდება დავალიანებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებთან შედარებით. სს „თბილგაზის” 2003-2004 წწ. მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები თან ერთვის (დანართები 10, 11).

7. საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

- პრესდაიჯესტის ფორმით სემეკის გადაწყვეტილებების, სემეკის სხდომების დღის წესრიგის, ენერგეტიკაში არსებული პრობლემების, სემეკისა და აპარატის საქმიანობის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მაქსიმალური გამჭვირვალობის დანერგვა;
- ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მოკლე ანოტაციის მომზადება და გავრცელება და პრეს-კონფერენციების მოწყობა;
- პრესისა და სატელევიზიო გადაცემების ყოველდღიური მიმოხილვა და ანალიზი. სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარება;
- საზღვარგარეთის ქვეყნების ენერგეტიკულ საწარმოებთან და სხვადასხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციებთან სემეკისა და მისი აპარატის კავშირის უზრუნველყოფა;
- ენერგეტიკის სფეროში საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერების გაზრდისა და გაღრმავების ხელშეწყობა;
- სემეკის ვებ-გვერდის დიზაინერული და საინფორმაციო უზრუნველყოფა.

7.1. საზოგადოებასთან ურთიერთობა

დეპარტამენტი მუშაობს ღუპლექსურ რეჟიმში: სემეკი-საზოგადოება და საზოგადოება-სემეკი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მხრივ დეპარტამენტი საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით წარმართავს.

მასმედიასთან თანამშრომლობა

დეპარტამენტს ურთიერთობა აქვს ყველა სინფორმაციო საშუალებასთან, ახორციელებს სემეკსა და მთლიანად ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების ყოველდღიურ მონიტორინგს, ამზადებს საინფორმაციო ყოველკვირეულ ბიულეტენს მასმედიისთვის, ამუშავებს გაშუქებულ მასალას და რეაგირებს იმ შემთხვევაში, თუ თვლის, რომ მიმდინარე მოვლენა ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალებაში არ იყო ობიექტურად გაშუქებული.

დეპარტამენტი დაიჯესტის სახით ყოველდღიურად ამზადებს ქართული, საერთაშორისო და რუსული პრესის მიმოხილვას.

დეპარტამენტი ახდენს სემეკის საჯარო სხდომების სინფორმაციო უზრუნველყოფას, ჟურნალისტების მოწვევას და სემეკის ვებ-გვერდზე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსებას. სხდომის დამთავრებისთანავე დეპარტამენტი ამზადებს სპეციალურ პრესრელიზს, ათავსებს ვებ-გვერდზე და ავრცელებს საინფორმაციო საშუალებებში.

ვებ-გვერდზე, ასევე, განთავსებულია კომისიის მიერ მიღებული ყველა ნორმატიული და სამართლებრივი დოკუმენტი, წლიური ანგარიშები, ყველა აუცილებელი ინფორმაცია ლიცენზიატების, „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზართან“ ურთიერთობისა და კომისიის საერთაშორისო კავშირების

შესახებ. დეპარტამენტის მიერ მუდმივად ხდება სემეკის ინტერნეტ-გვერდის განახლება.

აუცილებლობიდან გამომდინარე, დეპარტამენტი ატარებს პრეს-კონფერენციებს. 2004 წლის მანძილზე ჩატარდა 8 პრეს-კონფერენცია და შეხვედრები მასმედის წარმომადგენლებთან.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს ჟურნალისტების დასწრებას იმ სემინარ-ტრენინგებსა და დისკუსიებზე, რომლებიც პერიოდულად სემეკში ტარდება ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების მოწვევით. 2004 წლის ოქტომბრიდან, სამი თვის მანძილზე, სემეკში ტარდებოდა ყოველკვირეული დისკუსიები თემაზე – "ენერგეტიკულ სექტორში ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები". დისკუსიის მსვლელობა და შედეგები სისტემატურად შექდებოდა პრესაში.

დეპარტამენტი თანამშრომლობს საქართველოში ენერგეტიკის დარგში მომუშავე საერთაშორისო კომპანიების ანალოგიურ სამსახურებთან: **ESBI**, რომელიც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველი კომპანიაა, ესპანური კონსორციუმი **IBERDROLA, PA-Consulting-i** – „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მენეჯმენტ-კონტრაქტორი და რუსული კომპანია **PAO EЭC POCЦИИ**.

არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა

დეპარტამენტი თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედ ჯგუფთან შემდეგ საკითხებზე:

- მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება;
- ობიექტური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე პროცესების თაობაზე;
- გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში არასამთავრობო სექტორის გათვალისწინება;
- დარგში გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო მონიტორინგის წარმართვა;
- საზოგადოებრივი კონტროლი ენერგორესურსების მიწოდებაზე გადახდის მიხედვით;
- პრინციპის – ელექტროენერგია მხოლოდ გადამხდელს – ხელშეწყობა;
- სატარიფო პოლიტიკის მონიტორინგი;
- ენერგოეფექტურობისა და ენერგოდაზოგვის აუცილებლობის პოპულარიზაცია.

2004 წლის სექტემბრიდან დეპარტამენტი ჩაერთო მრგვალი მაგიდების ციკლში – „ენერგოსექტორი საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ“. იგი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების – „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (**CENN**), „მწვანე ალტერნატივისა“

და „ეკონომიკის“ კოალიციის მიერ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

2004 წლის აგვისტოდან დეპარტამენტი ეფექტურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან – „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“.

ამავე წლის ოქტომბრიდან დეპარტამენტი თანამშრომლობს **CORE international**-თან, რომელიც მუშაობას წარმართავს USAID-ის პროექტის ფარგლებში – „საკონსულტაციო დახმარება საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს“.

7.2. სემეკის საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით სემეკს კავშირი აქვს ენერჯეტიკის რეგულირების რეგიონულ ასოციაციასთან (ERRA), კომუნალური საწარმოების რეგულირების კომისიის წევრთა ნაციონალურ ასოციაციასთან (NARUC), ენერჯეტიკის მსოფლიო საბჭოსთან (WEC), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID).

- ERRA-ს მიზანია წევრ ქვეყნებში ენერჯეტიკის რეგულირების პროცესების გაუმჯობესება. სემეკი, სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან ერთად, წარმოადგენს ERRA-ს წევრ-დამფუძნებელს. სემეკის თავმჯდომარე გიორგი თავაძე და სემეკის წევრი ირმა ქავთარაძე გაერთიანებულნი არიან ERRA-ს სატარიფო-ფასწარმოქმნისა და ლიცენზირება-კონკურენციის კომიტეტებში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ მათ მუშაობაში.
- NARUC-ის მიზანია საზოგადოების ინტერესების დაცვა.
- WEC-ის წევრი-კომიტეტები შექმნილია 90-ზე მეტ ქვეყანაში. მისი სამუშაო არეალი მოიცავს ენერჯეტიკის მთელ სპექტრს – ბაზრის რესტრუქტურირებას, ენერგოეფექტურობა, ენერჯეტიკა და გარემო, ენერჯის ფასწარმოქმნა, სუბსიდიები და ა.შ.

გარდა ამისა, დეპარტამენტის დახმარებით, სემეკის წამყვანმა და ახალგაზრდა სპეციალისტებმა 2004 წელს მონაწილეობა მიიღეს უცხოეთში ჩატარებულ კონფერენციებსა და ტრენინგებში.

სემეკი ასევე ნაყოფიერად თანამშრომლობს ენერჯეტიკულ ქარტიასთანაც. ენერჯეტიკულმა ქარტიამ წარმოაჩინა შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლის შექმნის აუცილებლობა. ენერჯეტიკული ქარტიის შეთანხმება წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკურ ფორუმს, სადაც განიხილება ენერჯეტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები: ღია და ეფექტური ენერგობაზრების განვითარება; კერძო ინვესტიციების მოზიდვისა და კერძო საწარმოების მონაწილეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; მონაწილე ქვეყნების თანასწორუფლებიანობა; ეკოლოგიურად დასაბუთებული და ენერჯეტიკულად ეფექტური პოლიტიკის მნიშვნელობის აღიარება;

ენერგოეფექტურობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; ენერგეტიკაში კაპიტალდაბანდების დაცვა; ინვესტიციებთან დაკავშირებული დავების გადაჭრა.

დეპარტამენტი ინტენსიურად თანამშრომლობს საქართველოს ენერგეტიკის დარგში მომუშავე დონორ ორგანიზაციებთან.

8. ელექტროენერგეტიკაში და ბუნებრივი გაზის სფეროში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია

ენერგეტიკაში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზებისა და კოორდინაციის სარეალიზაციოდ სემეკში შეიქმნა შესაბამისი ცენტრალური ორგანო. დამუშავდა პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნორმატიული დოკუმენტების პროექტები.

როგორც მრავალმხრივმა ანალიზმა გვიჩვენა, დარგისთვის ბევრად ეფექტურია არა პროდუქციის, არამედ მომსახურების სავალდებულო სერტიფიკაციის სისტემის შემოღება.

აქედან გამომდინარე, ევროსტანდარტებთან ჰარმონიზებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, შეიქმნა მომსახურების სავალდებულო სერტიფიკაციის სისტემა „ენერგეტიკა“ და დამუშავდა მისი ფუნქციონირების ნორმატიული დოკუმენტები:

1. მომსახურების სავალდებულო სერტიფიკაციის სისტემის „ენერგეტიკა“-ს დებულება.
2. აკრედიტაციის ჩატარების წესი, (სერტიფიკაციის ორგანო და ლაბორატორია).
3. მომსახურების სერტიფიკაციის ჩატარების წესი.
4. სააპელაციო კომისიის დებულება.
5. შესაბამისობის ნიშნის დებულება.
6. სისტემის სახელმწიფო რეესტრის წარმოების წესი.

ნორმატიულმა დოკუმენტებმა გაიარეს ექსპერტიზის პირველი ეტაპი იუსტიციის სამინისტროში.

ნორმატიული დოკუმენტების მომზადებისას სახელმძღვანელოდ გამოყენებულ იქნა საქართველოს კანონები:

1. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ (1997).
2. „პროდუქციისა და მომსახურების შესახებ“ (1996).
3. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (1996).

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი სეკ (NACE) 001-2004 „ეკონომიკური საქმიანობის სახეობები“, შესაბამისად, განისაზღვრა სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებულ მომსახურებათა ნუსხა:

40.11.1 ელექტროენერჯის წარმოება თბოსადგურების მიერ.

40.11.2 ელექტროენერჯის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ.

40.11.4 ელექტროენერჯის წარმოება ელექტროსადგურების მიერ.

40.12.0 ელექტროენერჯის გადაცემა.

40.13.0 ელექტროენერჯის განაწილება და გაყიდვა.

40.22.0 აირებრივი სათბობის (ბუნებრივი გაზის) განაწილება მილსადენებით და მისი გაყიდვა.

გარდა აღნიშნულისა, რადგანაც მომსახურების სერტიფიკაციასთან დაკავშირებულია ელექტროენერჯის ხარისხის ნორმების დაცვა, განისაზღვრა ის პარამეტრები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ელექტროენერჯის ხარისხი, და, ასევე, ის ხელსაწყოები და დანადგარები და მათი მწარმოებლები, რომელთა საშუალებითაც უნდა დადგინდეს ელექტროენერჯის პარამეტრები.

საანგარიშო წელს შესწავლილ იქნა საზღვარგარეთის ქვეყნებში სერტიფიკაციის გამოცდილება ენერგეტიკის სფეროში.

9. ენერგომომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური

საზოგადოებრივ დამცველის უფლება-მოვალეობაა:

- ა. დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები;
- ბ. შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა შედეგები;

გ. გამოვიდეს მხარედ მომხმარებელთა სახელით მარეგულირებელ ორგანოში;

დ. გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციასა თუ მასალას, რაც კანონით ნებადართულია მარეგულირებელი კომისიისათვის გასაცნობად;

ე. წარმოადგინოს ინდივიდუალური მომხმარებელი მომსახურე კომპანიასთან დავაში;

ვ. მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ინტერესებზე.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის პრიორიტეტია საყოფაცხოვრებო და მცირე სამეწარმეო მომხმარებელთა გრძელვადიანი ინტერესების დაცვა.

სამსახურმა მოამზადა და სემეკს 2004 წლის გაზაფხულზე განსახილველად წარუდგინა „ელექტროენერჯის მოხმარების წესების“ პროექტი.

2004 წელს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შევიდა 160 წერილობითი განცხადება ელენერჯისა და ბუნებრივი გაზის მოხმარებასთან დაკავშირებით.

აბონენტების პრეტენზიები კომპანიის მიმართ ასევე ეხებოდა გაზრდილ ფიქსირებულ დავალიანებას, როდესაც კომპანია აწერდა არა სემეკის 2001 წლის №15 დადგენილებით დამტკიცებულ ფიქსირებულ სიდიდეებს, არამედ გაორმაგებულ კვტ.სთ-ებს, როგორც ოთახების რაოდენობის მიხედვით, ასევე წყლის გამაცხელებლებისა და სხვა ელექტრო ხელსაწყოების კანონით დადგენილ კვტ.სთ-ებს. ასეთ შემთხვევებში კომპანიამ გაითვალისწინა ჩვენი შენიშვნა და უკანონოდ გაზრდილი კვტ.სთ-ების რაოდენობა ჩამოწერა.

სოციალურად დაუცველ იმ მომხმარებლებს, რომელთათვისაც ზოგადი წესით დადგენილი რესტრუქტურისებული ვალის ყოველთვიური პორციის გადახდა გადაულახავ სიძნელეს წარმოადგენდა, სამსახურის შუამდგომლობით მოხდა ამ ვალების ხელახალი რესტრუქტურისაცა მათთვის ხელმისაწვდომი პირობების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში წერილობით შემოსულ მოქალაქეებს, რომელთაც უკანონოდ ჰქონდათ დარიცხული დავალიანება, სამსახურის ჩარევით 2004 წელს ჩამოეწერათ მთლიანობაში 10,256.56 ლარის თანხა.

10. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და დაფინანსება, კონტროლის უზრუნველყოფა

2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სემეკის ოფისის ფართობი შეადგენს 1335,7 მ²-ს. საანგარიშო წელს შეძენილ იქნა 74.502 ლარის ღირებულების აღჭურვილობა (კარადები, მაგიდები, სკამები, ორი ავტომობილი და ა.შ.). გარდა ამისა, 2004 წელს შეძენილ იქნა 35.318 ლარის ღირებულების კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა.

სემეკის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროა რეგულირების საფასური. ამ გზით საანგარიშო წელს შემოსულია 2233817 ლარი, საიდანაც ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში გადარიცხულია 594.600 ლარი. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მივლინებების დასაფინანსებლად მიღებულია 10976 ლარი.

10. ღ ა ნ ა წ ა ო ვ ბ ო

სემეკის მიერ 2004 წელს მიღებული დადგენილებების ნუსხა

ნომერი №	თარიღი	დადგენილებების დასახელება
№1	26.01.03	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
№2	04.03.04	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ
№3	03.06.04	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ
№4	23.06.04	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
№5	23.06.04	„ელექტრობაზრის წევრთა საწევრო შენატანების განსაზღვრისა და გადახდის წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 19 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
№6	23.07.04	„ელექტროენერჯის ტარიფის შესახებ 2003 წლის 15 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ
№7	23.07.04	„საბაზრო წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 2001 წლის 10 სექტემბრის №11 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ
№8	23.07.04	„ელექტრობაზრის წევრთა ერთობლივი სპეციალური ანგარიშისა და „საბაზრო წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 2001 წლის 10 სექტემბრის №11 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ
№9	30.08.04	„ელექტროენერჯის ცალკეულ მომხმარებელთათვის ტარიფების დადგენის შესახებ“ სემეკის 2003 წლის 26 აგვისტოს №15 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე
№10	30.09.04	„ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ
№11	30.09.04	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ
№12	30.09.04	„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 15 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
№14	15.10.04	„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 15 აგვისტოს

		№14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
№15	29.10.04	„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 15 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ
№17	19.11.04	შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციისთვის“ ელექტროენერჯის წარმოების მოკლევადიანი ტარიფის დამტკიცების შესახებ
№18	03.12.04	„ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ სემეკის 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე
№19	24.12.04	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

დანართი 2

სემეკის მიერ 2004 წელს მიღებული გადაწყვეტილებების ნუსხა

ნომერი №	თარიღი	გადაწყვეტილებების დასახელება
№1/1	21.01.04	სს „ზუგდიდიგაზისთვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების და განაწილების ლიცენზიების შეჩერების შესახებ
№1/2	21.01.04	შპს „ჯი-აი-სი თრეიდინგ ზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№1/3	21.01.04	სს „თბილსრესზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№2/1	28.01.04	შპს „ბუნებრივ აირზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№2/2	28.01.04	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№2/3	28.01.04	სს „თელასზე“ გაცემული ელექტროენერჯის გადაცემის და განაწილების ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ
№2/4	28.01.04	ვანის რაიონისთვის ელექტროენერჯის სტაბილურად მიწოდების შესახებ
№2/5	28.01.04	შპს „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატზე“ გაცემული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის გაუქმებისა და შპს „რუსთავის არეს მეტალურგიულ კომბინატზე“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ

№3/1	04.02.04	საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატებისთვის ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებისა და პერიოდული ფინანსური მონიტორინგის ფორმებისა და მაჩვენებლების დამტკიცების შესახებ;
№3/2	04.02.04	სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№3/3	04.02.04	შპს „ინდუსტრიის შესახებ“
№4/1	18.02.04	სს „რუსთავცემენტზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№4/2	18.02.04	შპს „გაზშენზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№4/3	18.02.04	შპს „გაზშენისთვის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის დადგენის შესახებ
№4/4	18.02.04	შპს „აჭარის ენერგოკომპანიაზე“ ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ
№5/1	04.03.04	სემეკის 2003 წლის წლიური ანგარიშის შესახებ
№6/1	29.04.04	შპს „საქართველოს რკინიგზის“ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის გაუქმების შესახებ
№6/2	29.04.04	„ქ.თბილისის ელექტრომომარაგების გაუმჯობესების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ“ სემეკის 2003 წლის 15 ოქტომბრის №40/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
№6/3	29.04.04	სს „საქგაზის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაუქმების შესახებ
№6/4	29.04.04	სს „თბილგაზის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების და განაწილების ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ
№6/5	29.04.04	შპს „ნატურის ხის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების და განაწილების ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ
№6/6	29.04.04	სს „საქცემენტზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№6/7	29.04.04	სს „კასპიცემენტზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№7/1	07.05.04	სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზე“ ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ
№8/1	13.05.04	სესბის საშტატო განრიგისა და 2004 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
№8/2	13.05.04	საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიატების მიერ ფინანსური ანგარიშგებისა და პერიოდული (კვარტალური) ინფორმაციის მომზადებისა და წარმოდგენის შესახებ
№8/3	13.05.04	სს „გარდაბანგაზისთვის“ თბოელექტროსადგურების მოხმარებული ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფების დადგენის შესახებ
№9/1	28.05.04	შპს „ჟინერის“ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაგრძელების შესახებ
№9/2	28.05.04	„ESBI-Georgia-ს მიერ მომზადებული „მეოთხე ეტაპის ანგარიშები სემეკისათვის შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შეთავაზება საქართველოს ენერგოსექტორში ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შესახებ“

№10/1	09.06.04	სს „კასპიგაზისთვის“ სამრეწველო საწარმოების მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის დადგენის შესახებ
№10/2	09.06.04	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№10/3	09.06.04	სს „ელექტროენერგეტიკის“ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის გაუქმების შესახებ
№10/4	09.06.04	საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის (ყოფილი საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი) გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიმართ პრეტენზიის მოგვარების შესახებ
№10/5	09.06.04	შპს „ვიჩნაშის“ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის გაუქმების შესახებ
№10/6	09.06.04	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№10/7	09.06.04	სს „ლაჯანურჰესში“ ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძების შემოწმებისა და მოწოდების შესახებ
№10/8	09.06.04	საქართველოს ენერგოსისტემაში ოპერატიული დისციპლინის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ
№10/9	10.06.04	სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზე“ ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ
№11/1	23.06.04	სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“, სს „თელასისა,“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატების საქმიანობის შესახებ
№11/2	23.06.04	ელექტროენერგეტიკულ სექტორში ელექტროენერგიის წარმოების, განაწილების და გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების შემოწმების შესახებ
№11/3	23.06.04	სს „თბილგაზის“ ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ
№11/4	23.06.04	შპს „სუპერგაზი-იტალიისთვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№12/1	09.07.04	სს „ყაზბეგიაგაზზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№12/2	09.07.04	შპს „იბერია-2004“-ზე ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№12/3	09.07.04	შპს „გაზმშენზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№12/4	09.07.04	სს „რუსთავცემენტის“ კუთვნილი 110/6 კვ ქვესადგურის გავლით გაწეული მომსახურების ანაზღაურების შესახებ
№12/5	09.07.04	მოქ. ზარქუასა და სს „თელასს“ შორის არსებული დავის შესახებ
№13/1	23.07.04	სს „იტერა-საქართველოს“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№13/2	23.07.04	შპს „ტექნიკის-ტექნოლოგიის ეკონომიკის და მართვის პრობლემების დანერგვის სამეცნიერო ცენტრსა“ და სს „თელასს“ შორის არსებული დავის შესახებ
№14/1	13.08.04	შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის გაუქმების შესახებ

№14/2	13.08.04	სს „ხრამჭესი 2“-ის ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის შესახებ
№14/3	13.08.04	შპს „გაზმშენის“ ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ
№14/4	13.08.04	სს „საქცემენტის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№14/5	13.08.04	შპს „მილზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№14/6	13.08.04	ვაჟა-ფშაველას გამზ. 57-ის მე-12 კორპუსში მდებარე ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის „აკადემიკოს 7“-სა და სს „თელასს“ შორის არსებული დავის შესახებ
№15/1	30.08.04	სემეკის 2001 წლის 18 აპრილის №31 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ
№15/2	30.08.04	სს „ავტოგაზზე“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№16/1	10.09.04	შპს „ეი-ი-ეს მტკვარზე“ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№16/2	10.09.04	შპს „ენტოსა“ და სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ ფილიალს - მაგისტრალურ ქსელებს შორის ელექტროენერჯის შესყიდვის შესახებ 2004 წლის 30 ივლისის №02/01-5 ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე
№17/1	14.09.04	სემეკის 2003 წლის 2 მაისის №6 დადგენილების შესაბამისად პირდაპირი ხელშეკრულებების განხილვის შესახებ
№17/2	14.09.04	სემეკის 2003 წლის 2 მაისის დადგენილების შესაბამისად პირდაპირი ხელშეკრულებების განხილვის შესახებ
18/1	17.09.04	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№19/1	30.09.04	სს „თელასზე“ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ
№19/2	30.09.04	პირდაპირი ხელშეკრულებების შესახებ
№19/3	30.09.04	შპს „ქცია-94-სა“ და სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“ შორის ელექტროენერჯის შესყიდვაზე 2004 წლის 20 აგვისტოს №168/14-4 ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე
№19/4	30.09.04	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№19/5	30.09.04	სემეკის 2005 წლის საპროგნოზო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
№20/1	15.10.04	შპს „ეი-ი-ეს მტკვარის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№20/2	15.10.04	სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიაზე“ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ
№21/1	29.10.04	სემეკის 2004 წლის 30 სექტემბრის №19/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების და ამ გადაწყვეტილებით გაცემული სს „თელასის“ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№21/2	29.10.04	სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიაზე“ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ
№21/3	29.10.04	შპს „რუსთავის არეს მეტალურგიული კომბინატის“ კუთვნილი 110კვ ქსელის

		გავლით გაწეული მომსახურების საფასურის ანაზღაურების შესახებ
№22/1	12.11.04	შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციაზე“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№22/2	12.11.04	2004-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ქ.თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგების მიზნით, სს „თელასის“ მიერ შექმნილი ელექტროენერჯის დედაქალაქისათვის დაუბრკოლებლად მიწოდების შესახებ
№22/3	12.11.04	შპს „სართიჭალის გაზზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№22/4	12.11.04	შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციისათვის“ ელექტროენერჯის წარმოების მოკლევადიანი ტარიფის დამტკიცების შესახებ
№23/1	19.11.04	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№24/1	26.11.04	სემეკის 2004 წლის 29 ოქტომბრის №21/2 გადაწყვეტილებით სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიაზე“ გაცემული ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის (027, სერია15) მოდიფიცირების შესახებ
№24/2	26.11.04	შპს „აჭარის ენერჯოკომპანიაზე“ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაუქმების შესახებ
№24/3	26.11.04	შპს „აჭარის ენერჯოკომპანიაზე“ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ
№25/1	03.12.04	„ელექტროენერჯეტიკის და ბუნებრივი გაზის სექტორების ლიცენზიატების მიერ წარმოდგენილი წლიური და კვარტალური საფინანსო-ეკონომიკური ანგარიშების ანალიზის თაობაზე“
№25/2	03.12.04	სს „თელასის“ მიერ სემეკში დაბრუნებული ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის შესახებ
№25/3	03.12.04	სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიაზე“ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ
№25/4	03.12.04	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ (არეალის გაფართოება)
№25/5	03.12.04	შპს „აჭარის ენერჯოკომპანიაზე“ გაცემული ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ
№26/1	13.12.04	შპს „ვარკეთილიაირზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№27/1	22.12.04	სს „ენერჯოკავშირზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№28/1	24.12.04	სემეკის 2004 წლის 30 სექტემბრის №19/1 გადაწყვეტილებით სს „თელასზე“ გაცემული ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№28/2	24.12.04	შპს „ენტოსა“ და სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“ შორის ელექტროენერჯის შესყიდვაზე 2004 წლის 11 ნოემბრის №34-2/14-4 ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე
№28/3	24.12.04	სს „თბილგაზის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№28/4	24.12.04	შპს „მტკვარი-ენერჯეტიკის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ (ვადის გაგრძელება).

№28/5	24.12.04	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ (ვადის გაგრძელება)
№28/6	24.12.04	სს „ავტოგაზის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№28/7	24.12.04	სს „საქცემენტის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№28/8	24.12.04	სს „თემქა-პურზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ

დანართი 3

ელექტროენერჯის წარმოების, განაწილებისა და იმპორტის
ლიცენზიატთა სია, რომლებმაც ლიცენზიები მიიღეს 2004 წელს

№	ლიცენზიატის დასახელება	ლიცენზიის გაცემის თარიღი	ლიცენზიის ნომერი	ლიცენზიის სურია
წარმოება				
1	შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაცია“ (ხაღორი ჰესი)	2004 წლის 12 ნოემბერი	059	11
განაწილება				
1	შპს „რუსთავის არეს მეტალურგიული კომბინატი“	2004 წლის 28 იანვარი	053	14
იმპორტი				
1	სს „თელასი“	2004 წლის 30 სექტემბერი	026	15
2	სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია“	2004 წლის 26 ნოემბერი	027	15
3	შპს „აჭარის ენერჯოკომპანია“	2004 წლის 26 ნოემბერი	028	15

საქართველოს ელექტრობალანსი
2004 წელს

№	დასახელება	ელექტროენერგია, მლნ.კვტ.სთ
1.	წარმოება	6 706.0
	მათ შორის:	
	ჰესი	5 892.8
	თესი	813.2
2.	იმპორტი	1 208.3
	ა) რუსეთიდან	732.9
	ბ) სომხეთიდან	475.4
3.	კარგვები	439.5
3.	მოხმარება	7 474.8

ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული
ელექტროენერგია 2004 წელს

№	ელექტროსადგური	გამომუშავება, მლნ.კვტ.სთ
1	ენგურჰესი	2 728.1
2	ვარდნილჰესი	384.2
3	ვარციხეჰესები	606.6
4	ლაჯანურჰესი	86.3
5	შაორჰესი	96.9
6	ძვერულჰესი	84.3
7	„მუნღეიკ ჯორჯია“	6.9
8	გუმათჰესების კასკადი	204.3
9	რიონჰესი	288.8
10	ხრამი I	238.8
11	ხრამი II	3.0
12	ჟინვალჰესი	437.9
13	ზაჰესი	167.7
14	ორთაჭალჰესი	81.8
15	აწჰესი	4.7
16	ბუეჟაჰესი	53.6
17	ჩალაჰესი	3.5
18	ჩითახევჰესი	100.4
19	ჩხორჰესი	4.4
20	დაშბაში ჰესი	7.3
21	ინწობა ჰესი	1.5
22	ალაზანჰესი	12.2
23	მარტყოფჰესი	3.4
24	მაშავერაჰესი	0.22
25	რიცეულჰესი	24.2

26	საცხენისჰესი	32.7
27	სიონჰესი	39.5
28	სქურჰესი	1.9
29	თეთრიხევჰესი	20.0
30	კაბალჰესი	3.2
31	აბჰესი ელექტრო	3.1
32	ხადორი ჰესი	3.1
33	მისაქციელი ჰესი	2.3
34	ხერთვისი ჰესი	1.1
	ჰიდროსადგურები სულ:	5 892.8
35	„ეი-ი-ეს მტკვარი“	791.7
36	თბილსრესი	21.5
	თბოსადგურები, სულ:	813.2
	მთლიანი გენერაცია	6 706.0